საბჯ

№7(187)
ივლისი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

„საქართველოს კარიტასის“ პროექტის გახსნა

პირველი ზიარება ვალეში

ადამიანი ყველაზე უფრო სულელი
სახით მაშინ იმყოფების თავს,
როდესაც საკუთარ თავს სხვას უფროებს.

ნეტარი იოანე პავლე მეორე

ახალციხის ახალგაზრდა ინვალიდთა
ცენტრის მობინადრეები ზარზმაში

კათოლიკე სტუდენტები წეროვანში

პირველი ზიარება უდეში

„Civilization of Love“ — „სიყვარულის ცივილიზაცია“

სიყვარულის ცივილიზაციაზე საუბარი დღევანდელ დღეს, მაშინ როდესაც მსოფლიოში სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა, ჩვენგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, თუ გვინდა, რომ არ დაგვბრალდეს პროვოკატორობა, ფანტაზიორობა... ცრუ რეალიზმი შემდეგს გვათქმევინებს: „კი, ბატონო, იდეა მშვენიერია, მაგრამ ცხოვრება სულ სხვაგვარია,... აქ სულ სხვა კანონები ბატონობს, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო სიყვარულთან“. ნუთუ მართლა ასეა?

2009 წელს გამოიცა კ. ანდერსონის წიგნი „Civilization of Love“, რომელიც მალე ბესტსელერად იქცა. ავტორი შეეცადა, ხელახლა აღმოეჩინა თავისი, როგორც პიროვნებისა და მორწმუნე ქრისტიანის, მოვალეობა — მონაწილეობა მიეღო „სიყვარულის ცივილიზაციის“ შექმნაში. შემთხვევით როდი სვამს იგი კითხვებს: „ვინ ვართ? ვინ გვინდა გავხდეთ?“ სიყვარულის ცივილიზაცია სრულებითაც არაა უტოპია, იგი რეალობაა, რომელიც უნდა განვითარდეს; პირადი და საზოგადო ცხოვრების ის კონკრეტული პროექტია, რომელიც ყოფიერების ყველა ასპექტს მოიცავს: პიროვნების ღირსება, მისი უფლებები – უპირველესი მათ შორის, სიცოცხლის უფლება, — ქორწინება და ოჯახი, სამუშაო, სიღარიბის პრობლემა, გლობალიზაცია, წარმოება, ფინანსები, პოლიტიკა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე, პაპების სწავლებებში, მოყოლებული პავლე VI-დან იოანე პავლე II-მდე და ბენედიქტე XVI-მდე, საერთოა ის სულისკვეთება, რაც სიყვარულის ცივილიზაციაზე მიანიშნებს და მთელი კაცობრიობისა და, განსაკუთრებით, მორწმუნე ქრისტიანისთვის გარდაუვალ ფინიშს წარმოადგენს. ვატიკიანის II კრების შემდეგ, პავლე VI პირველი გახლდათ, ვინც დაჟინებით საუბრობდა სიყვარულის ცივილიზაციის აუცილებლობაზე, სადაც სამართალი სიყვარულთან შეჯერდებოდა და ამაღლდებოდა: „თუკი იურიდიულ ნორმებს მიღმა არ არსებობს სხვისი პატივისცემისა და მსახურების განცდა, თვით კანონის წინაშე თანასწორობა ერთგვარი ალიბია ღია დისკრიმინაციის, მუდმივი ექსპლუატაციისა და კონკრეტული შეურაცხყოფისა.... ამის დასტურია თანამედროვე მსოფლიოში არსებული დრამატული დაპირისპირებები. ძალისმიერი კავშირები, ფაქტობრივად, ვერასოდეს გახდება დღეგრძელი და ჭეშმარიტი სამართლის საწინდარი (...). ძალის გამოყენება საწინააღმდეგო ძალების ჩარევას იწვევს, საბრძოლო განწყობას ქმნის, რაც, უკიდურეს სიტუაციებში, გადამეტებული ძალადობით გამოიხატება“. „სიყვარულის ცივილიზაცია არ არის სენტიმენტალიზმი, იგი სამართალია, სიცოცხლეა,... თუკი სიყვარულის ცივილიზაცია არ დაეფუძნება ადამიანთა სამართალს, ის ვერ გახდება ნამდვილი ცივილიზაცია, იგი იქნება სიყვარულის კარიკატურა, სადაც გულმოწყალების ნიღბით გაიცემა ყოველივე ის, რისი გაცემაც სამართალს მართებს“, — წერდა ეპისკოპოსი ო. რომერო, რომელიც 1980 წელს მუხანათურად მოკლეს სან სალვადორში, წმიდა წირვის აღსრულებისას; მისი საფლავი ა.წ. მარტში თვით ამერიკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მოინახულა, ხოლო 24 მარტი — მისი მკვლელობის დღე — გაერომ „სამართლის დაცვის დღედ“ გამოაცხადა. სიყვარულის ცივილიზაციაზე საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ სახარება გახდეს რომელიმე ქვეყნის კონსტიტუცია, და არც იმას, რომ ეკლესია საკუთარ თავს სახელმწიფოსთან აიგივებს; არამედ აქ საუბარია ქრისტიანულ და, ზოგადად, საკაცობრიო ღირებულებებზე, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს მორწმუნე ქრისტიანი საზოგადოებაში, ხოლო ეკლესია, — ერთგული და წინამძღოლი, — მზად არის, კეთილი ნების ყველა ადამიანთან ითანამშრომლოს სიყვარულის ცივილიზაციის შესაქმნელად.

თბილისის 26 მაისის მოვლენების შემდეგ, საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ, 29 მაისს, თავის ქადაგებაში, ცნობილი ლათინი კომედიოგრაფის პლაუტოს სიტყვებით მოუწოდა ყველას, რომ ნუ იქნებიან „homo hominis lupus“ (ადამიანი ადამიანისათვის მგელია), და რომ დაიცვან ადამიანის ღირსება, ცალკეული ადამიანი საზოგადოების ცენტრში დააყენონ იმ მიზნით, რომ შედგეს დიალოგი. საზოგადოებას, ზოგადად, და ასევე, ქართულ საზოგადოებასაც, არაფრად სჭირდება ყველა ის სასწაული, რაზეც ამდენს ლაპარაკობენ: ინდუსტრიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა, ასევე... სენსაციური სასწაულები (მომტირალი ხატები, გამოცხადებები...), თუმცა დღეს სწორედ ეს სასწაულებია ფართოდ გავრცელებული და სასურველი. სულ ახლახანს საუბრობდნენ ერთი ბათუმელი ბიჭის „სასწაულზე“; ასევე ჭიათურაში მომხდარ სასწაულზე, რომ თითქოსდა კათოლიკეთა ერთ ოჯახში, მას შემდეგ რაც კათოლიკე მღვდელმა სახლი აკურთხა, კედლებზე სასწაულებრივად გამოისახა ჯვრები;... ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ დღეს საზოგადოებას სულ სხვა სასწაულები სჭირდება, ანუ კაცთმოყვარეობის, ღვთისა და მოყვასის მიმართ გაღებული სიყვარული. აქვე ერთ პატარა, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: როდესაც იმ ადამიანებს, რომლებიც ნათესავ-ახლობლების მიერ გულგრილად მიტოვებულ ინვალიდ ქალბატონს წლების მანძილზე ეხმარებოდნენ უანგაროდ, დიდსულოვნად, მაგრამ მისი გარდაცვალების მომენტში სრულიად მოულოდნელად გამოჩნდებიან ნათესავები, ნაცნობები და თვით მართლმადიდებელი მღვდელი (მისი გადანათვლის მიზნით),... ნაცვლად იმისა, რომ მადლობა გადაუხადონ მათ ამ წლების მანძილზე გაწეული მსახურების გამო, შეხედვის ღირსადაც კი არ ხდიან, რადგან კათოლიკეები არიან; აქ ნამდვილად მიჩნდება კითხვა: რელიგიები და ეკლესიები იმიტომ თანამშრომლობენ, რომ სიყვარულის ცივილიზაცია დაამყარონ, თუ ხელი შეუწყონ ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც უფრო მეტად ბატონობს ძალა, პრესტიჟი, პატივი და დიდება?!

... ჩვენდა საბედნიეროდ, მრავალი ადამიანი, ასოციაცია, ერი, რელიგია უხმოდ და გმირული სულისკვეთებით ქმნის სიყვარულის ცივილიზაციას სხვადასხვა გზით: მოხალისეობით, უანგარო მსახურებით, მიტევებით, სამართლის ძიებით; კათოლიკე ეკლესიის კალენდარში ამ თვის წმიდანები (წმ. ბენედიქტე, წმ. კამილო, წმიდა ბრიგიდა, წმ. ეგნატე ლოიოლა...) ჩვენი მეოხნი და სტიმულის მომცემნი არიან.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ბენედიქტე XVI-ის ვიზიტი ხორვატიაში

4-5 ივნისს უწმიდესი პაპი ხორვატიას სტუმრობდა. ვიზიტის პირველ დღეს, დილით, პონტიფექსი ქვეყნის პრეზიდენტსა და პრემიერ მინისტრს შეხვდა. შემდეგ ზაგრების ეროვნულ თეატრში გაიმართა ბენედიქტე XVI-ის შეხვედრა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეებთან და რელიგიურ ლიდერებთან, საღამოს კი, ზაგრების ცენტრალურ მოედანზე — ხორვატიის ახალგაზრდობასთან.

5 ივნისს უწმიდესმა პაპმა ქალაქის იპოდრომზე წირვა აღავლინა, შემდეგ კი ზაგრების კათედრალურ ტაძარს ეწვია და ალოიზი სტეპინაცის საფლავთან ილოცა. „ნეტარი სტეპინაცი ცხოვრობდა გასული საუკუნის მძიმე პერიოდში, ორი ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობისას, რომლებიც თითქოს უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მსგავსნი იყვნენ კაცთმოძულეობით. ეს ხანა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ამას სტეპინაციც ამბობდა. დღესაც გვჭირდება მისიონერული სული არსებულ საფრთხეთა წინაშე. ეს საფრთხეები არ არის ისეთი სასტიკი და მომაკვდინებელი, როგორც სტეპინაცის დროს იყო, მაგრამ მათაც შეიძლება მიგვიყვანონ მძიმე შედეგებამდე. საუბარია ფენომენზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, მცდარ გეზს აძლევს ახალგაზრდობას. სტეპინაცის მაგალითზე ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ავიმაღლოთ ხმა პიროვნების ღირსების დასაცავად“, — აღნიშნა ბენედიქტე XVI-მ.

ვიზიტის დამდეგს, თვითმფრინავის ბორტზე ჟურნალისტებთან საუბრისას, უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ მისთვის კარგადაა ცნობილი ამ ქვეყნის მკვიდრთა ღმრთისმოსაობა; რაც შეეხება ხორვატიის ევროკავშირში გაერთიანების საკითხს, ხორვატიის ისტორია ევროპული ისტორიის ნაწილს შეადგენს და ევროკავშირში მისი მიღება ლოგიკური, სამართლიანი და აუცილებელიცაა.

ჟურნალისტებთან საუბრისას, უწმიდესმა პაპმა განსაკუთრებულად აღნიშნა კარდინალ ალოიზი სტეპინაცის ღვაწლი. ბენედიქტე XVI-მ მას დიდი მოძღვარი და დიდი ქრისტიანი უწოდა.

ოთხი მითი ჯვაროსნულ ლაშქრობათა შესახებ

ჟურნალმა „The Review Intercollegiate“ გამოაქვეყნა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის, პოლ კროუფორდის სტატია „ოთხი მითი ჯვაროსნულ ლაშქრობათა შესახებ“, რომელშიც ავტორი ამ ლაშქრობების მიმართ არსებულ სტეტიპებზე საუბრობს.

პირველი მითის თანახმად, ჯვაროსნული ლაშქრობები მუსლიმებზე „უმიზეზო“ თავდასხმების ხასიათს ატარებდა. ავტორი აღნიშნავს, რომ VII საუკუნის შუა წლებში ეგვიპტის, პალესტინის, სირიის, მცირე აზიისა და სხვა ტერიტორიები ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო. ერთი საუკუნის შემდეგ კი ქრისტიანებმა დაკარგეს ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი. ტერიტორიათა ორ მესამედს, რომლებიც ადრე ქრისტიანთა მიერ იმართებოდა, ახლა უკვე მუსლიმები განაგებდნენ და თავიანთ ძალაუფლებას ისინი სწორედ სამხედრო თავდასხმათა გზით ამკვიდრებდნენ. ევროპის ტერიტორიებსაც ესხმოდნენ, რამაც საპასუხო მოქმედებები გამოიწვია.

მეორე მითის თანახმად, ჯვაროსნული ლაშქრობები მოლაშქრეთა გამდიდრებას ემსახურებოდა. პირველი ჯვაროსნები კი თავიანთ მამულებს და ქონებას ყიდდნენ, რათა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონოდათ.

მესამე მითი ჯვაროსანთა მორწმუნეობაა კროუფორდი ამტკიცებს, რომ მათ სწორედ ღმრთის რწმენა ამოძრავებდა.

მეოთხე მითის თანახმად, ჯვაროსნები მუსლიმებს აღმოსავლეთის ქრისტიანთა მკვლელობისკენ უბიძგებდნენ. პროფესორი გვახსენებს, რომ XIX საუკუნის ბოლომდე მუსლიმურ ისტორიოგრაფიაში ჯვაროსნული ლაშქრობები განიხილებიდა, როგორც სამხედრო მოქმედებები, რომელთა მსვლელობისას მუსლიმებმა ქრისტიანთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიაყენეს ზიანი. მუსლიმები არაფერს უწყოდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა განსხვავების შესახებ და ამ უკანასკნელებზე თავდასხმისას მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ.

სატატიის მისამართია http://www.mmisi.org/ir/46-01/crawford.pdf

მომლოცველი ბოშები პაპს ესტუმრნენ

11 ივნისს უწმიდესმა პაპმა პავლე VI-ის დარბაზში ბოშათა დელეგაცია მიიღო. ამ დღეს რომს ათას ხუთასი მომლოცველი ბოშა ეწვია, რათა ბოშური წარმოშობის პირველი ნეტარის, ზეფირინ ხიმენეს მალის დაბადების 150-ე და მოწამეობრივი სიკვდილის 75-ე წლისთავი აღენიშნა.

„თქვენმა ხალხმა აჩუქა ეკლესიას ნეტარი ზეფირინი, რომელიც თავისი ხალხის ერთგულებას ინარჩუნებდა და უყვარდა ეკლესია, ეზიარებოდა და ლოცულობდა სავარდს; ასრულებდა მცნებებს, იყო პატიოსანი და გულუხვი... თქვენი ხალხი აღაროსდროს უნდა იყოს ჩაგრული, გარიყული, განკიცხული. მოგიწოდებთ, ყველამ ერთად ჩავწეროთ ახალი თავი თქვენი ხალხისა და ევროპის ისტორიაში. თქვენს შორის მრავლად არიან ახალგაზრდები, რომელთაც სხვათა დარად სურთ სწავლა და მუშაობა. მე მათ განსაკუთრებული სიყვარულით ვუმზერ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს შვილებს

უკეთესი ცხოვრების უფლება აქვთ“, — თქვა პაპმა. მან აღნიშნა, რომ ბოშები, რომელთაც სახარების უწყება მიიღეს, ეკლესიის საყვარელი შვილები არიან.

დღეს კათოლიკე ეკლესიას ბოშური წარმოშობის ერთი ეპისკოპოსი, ორი ვიკარიუსი, ოცდახუთი მღვდელი და ოცდაათი მონაზონი ჰყავს.

მეექვსე მცნება ცხოველებსაც უნდა იცავდეს

ფრაიბურგის გამომცემლობამ Paulusverlag ახლახანს გამოაქვეყნა კაპუცინთა ორდენის წევრის, შვეიცარიული საზოგადოების „ეკლესია და ცხოველები“ პრეზიდენტის ანტონ როტცეტერის წიგნი „ფრანცისკ ასიზელი და ცხოველები“.

ავტორის აზრით, ისტორიები, რომლების ფრანცისკ ასიზელის ცხოველებისადმი დამოკიდებულების შესახებ მოგვითხრობს, აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვისაც, რომელიც ბუნების დაცვის გზებს ეძებს.

„მე არ ვეძებ ბიბლიაში ვეგეტარიანელობის დასაბუთებას, თუმცა თანამედროვე საზოგადოებისთვის იგი სასარგებლოდ მიმაჩნია. ვკითხოთ საკუთარ თავს: მეექვსე მცნება ცხოველთა მკვლელობის აკრძალვასაც ხომ არ გულისხმობს?“, — ამბობს როტცეტერი.

ისრაელის კათოლიკური ტაძრები გადასახადისაგან თავისუფალია



14 ივნისს ვატიკანში წმიდა საყდრისა და ისრაელის მუდმივი ერთობლივი კომისიის მორიგი შეხვედრა გაიმართა.

წმიდა საყდარსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის შედეგად, ისრაელში მდებარე კათოლიკური ტაძრები გადასახადებისაგან გათავისუფლდება. აქამდე ამგვარი შეღავათები მხოლოდ სინაგოგებისა და მეჩეთებისთვის მოქმედებდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ეკონომიკური და ქონებრივი ხასიათის საკითხები, აგრეთვე განათლების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები.

ისრაელის მხარეს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დენი აიალონი წარმოადგენდა, წმიდა საყდრისას — სახელმწიფოებთან ურთიერთობათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეტორე ბალესტრერო.

მოლაპარაკებები ორ სახელმწიფოს შორის 19 წლის მანძილზე მიმდინარეობს, თუმცა საგრძნობი ძვრები მხოლოდ 2010 წელს მოხდა, როდესაც მხარეებმა შეწყვიტეს დავა წმიდა ადგილთა გამო. დენი აიალონის განცხადებით, სიწმიდეები კვალავაც ისრაელის იურისდიქციაში დარჩება, თუმცა მისაწვდომი იქნება მომლოცველთათვის.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

არნოლდო მონდადორი

მე, აზია ბიბი, ვკვდები: ისმინეთ ჩემი!

აზია ბიბი — რწმენისთვის სიკვდილმისჯილი

„უკვე სამი თვეა, მზე არ მინახავს. ჩემს კამერაში სარკმელი არ არის. თანაც ისეთი ვიწროა, ხელიც ვერ გამიშლია. არც არავინ ასუფთავებს“, — წერს თავის წერილში პაკისტანელი ქრისტიანი აზია ბიბი, რომელსაც „მკრეხელობისთვის“ სიკვდილი აქვს მისჯილი.

ორი წლის წინ, იგი მკრეხელად და ღვთის მგმობელად ცნეს იმის გამო, რომ თანასოფლელებს ქრისტეს რწმენის შესახებ ესაუბრებოდა. „თუ სიკვდილი არ გინდა, ისლამი უნდა მიიღო. მზად ხარ, კარგი მუსლიმი გახდე?“, — ჰკითხა მას ადგილობრივმა იმამმა. აზიამ საკუთარი რწმენა არ უარყო და ჩამოხრჩობა მიესაჯა.

დღეს იგი განაჩენის შესრულებას ელის: „ყოველდღე ვეძებ საკუთარ თავში ძალას, რომ ჩემი ღირსება შევინარჩუნო. მხოლოდ ის მსურს, რომ ჩემმა შვილებმა სხვას გადასცენ ის სიყვარული, რომელიც მე მივეცი მათ“.

19 ივნისს პაკისტანის ქრისტიანები სამშობლოსთვის ლოცვას აღავლენდნენ. ეს იყო მათი პასუხი დევნასა და შევიწროებაზე. ამგვარად ცდილობენ ისინი, აჩვენონ მუსლიმ თანამემამულეებს, რომ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და სურთ ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები შეძლებენ მშვიდობიან თანაცხოვრებას.

გაეროში წმიდა საყდრის მუდმივმა წარმომადგენელმა სილვანო ტომაზიმ თხოვნით მიმართა ადამიანის უფლებათა გაეროს უზენაეს კომისარს ნავანეტჰემ პილეის, ჩაერიოს არსებულ სიტუაციაში და მოუწოდოს პაკისტანის ხელისუფლებას, დაადგინოს და აღასრულოს კანონები, რომლებიც დაიცავს რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს.

* * *

ციხეში დღეები და ღამეები ერთმანეთს ჰგავს. აღარ ვიცი, როგორ გამოვხატო, თუ რას ვგრძნობ. შიში ნამდვილადაა.. მაგრამ ეს ისე აღარ მთრგუნავს, როგორც თავიდან. პირველ დღეებში შიშისგან გული დოლივით ბაგუნობდა, ეხლა ცოტა დაწყნარდა, მუდმივად შეშფოთებული აღარაა. თვალზე ცრემლი არ შრება, აი, ქვითინს კი მოვრჩი. ცრემლები ჩემი თანამესაკნეები არიან, მეუბნებიან, რომ ჯერ არ დავნებებულვარ, მეუბნებიან, რომ უსამართლობის მსხვერპლი ვარ, მეუბნებიან, რომ უდანაშაულო ვარ.

ბევრი არაფერი ვიცი ჩემი სოფლის გარეთ არსებული სამყაროს შესახებ. არ მისწავლია, მაგრამ ვიცი, რა არის სიკეთე და რა — ბოროტება. არ ვარ მუსულმანი, მაგრამ კარგი პაკისტანელი ვარ, კათოლიკე და პატრიოტი, ჩემი ქვეყნის ისეთივე ერთგული, როგორიც ღმერთისა. გვყავს მუსულმანი მეგობრები, ეს პრობლემა არასოდეს ყოფილა, და თუმცა ყოველთვის არ გვქონია მარტივი ცხოვრება, გვაქვს ჩვენი ადგილი, ადგილი, რომლითაც ყოველთვის ვკმაყოფილდებოდით. როდესაც ხარ ქრისტიანი პაკისტანში, აშკარაა, თავდახრილმა უნდა იარო. ზოგიერთები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად გვთვლიან. ჩვენთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ დაუფასებელი სამუშაო, უმნიშვნელო ფუნქციები. მაგრამ ბედს არ ვუჩიოდი. მთელ ამ ისტორიამდე ბედნიერი ვიყავი ჩემიანებთან ერთად. დღეს ისე ვარ, როგორც პაკისტანში ღვთის გმობისათვის გასამართლებული ყველა მსჯავრდებული; მიუხედავად იმისა, არიან თუ არა დამნაშავენი, მათი ცხოვრება დამახინჯებულია. საუკეთესო შემთხვევაში, წლობით არიან ციხეში გამოკეტილი. უმრავლეს შემთხვევაში, ვინც მსჯავრდებულია „უმძიმესი დანაშაულისთვის“, გინდა იყოს ქრისტიანი, ინდუსი თუ მუსულმანი, კვდება საკანში სხვა პატიმრის ან ზედამხედველის ხელით. ხოლო თუ უდანაშაულოდ სცნობენ, რაც ძალზე იშვიათად ხდება, გამონაკლისის გარეშე კლავენ, როგორც კი დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას. ჩემს ქვეყანაში ღვთის მგმობელის ბრალდება სამუდამო დაღია. ეჭვმიტანილად ყოფნა უკვე დანაშაულია ფანატიკოსი სასულიერო პირების თვალში, რომლებიც განიკითხავენ, სჯიან და კლავენ ღმერთის სახელით. თუმცა ალაჰი მხოლოდ სიყვარულია. არ მესმის, რატომ იყენებენ ადამიანები რელიგიას ბოროტების საკეთებლად?! ვისურვებდი მჯეროდეს, რომ სანამ ვიქნებით ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ. ამ წუთს ვნანობ, რომ არ ვიცი წერა-კითხვა, მხოლოდ ახლა ვიაზრებ, რამხელა დაბრკოლებაა ეს. კითხვა რომ შემეძლოს, ალბათ, დღეს არ ვიქნებოდი აქ გამოკეტილი, უეჭველად მოვახერხებდი მოვლენების უკეთესად მართვას, ახლა კი პირიქით, ისინი მმართავენ მე, ყველაფერი საკუთარ თავზე განვიცადე და დღემდე განვიცდი. ჟურნალისტებს თუ დავუჯერებთ, ათი მილიონი პაკისტანელი სიამოვნებით მომისწრაფებდა სიცოცხლეს საკუთარი ხელით.

ვინც ჩემს ლიკვიდაციას მოახერხებს, პეშავარის მოლა ჯილდოდ 500 000 რუპიას ჰპირდება. ამ მხარეში ეს არის ერთი კარგი, მინიმუმ სამოთახიანი სახლის ფასი, ყველანაირი კომფორტით. არ მესმის ამგვარი გააფთრება. მე, აზია, უდანაშაულო ვარ. საკუთარ თავს ვეკითხები, პაკისტანში ქრისტიანად ყოფნა მხოლოდ სენი, ან დეფექტი კი არა, უბრალოდ, დანაშაული ხომ არ გახდა?! ჩემი ერთადერთი სურვილია, ამ პაწაწინა, უფანჯრო საკნიდან გავაგონო ჩემი ხმა და აღშფოთება სხვებს, მინდა, მთელმა სამყარომ იცოდეს, რომ ჩამოხრჩობას მიპირებენ მოყვასის დახმარების გამო.

დამსაჯეს იმიტომ, რომ სოლიდარობა გამოვხატე. ამაში შევცდი? მხოლოდ და მხოლოდ წყალი დავლიე მუსულმანი ქალების ჭიდან „მათი“ ჭიქით, 40 გრადუს სიცხეში. მე, აზია ბიბის, მომესაჯა სიკვდილი, რადგან მომწყურდა. ციხეში ვარ, რადგან გამოვიყენე ამ მუსულმანი ქალების ჭიქა. რადგან მე, ქრისტიანმა, ანუ იმან, ვინც უწმინდურად არის მიჩნეული, შევთავაზე წყალი სხვა ქალს. მსურს ჩემი საბრალო ხმა, რომელიც ამ საზიზღარი საპყრობილიდან ამხელს ამგვარ უსამართლობასა და ბარბაროსობას, მივიდეს მსმენელის ყურამდე. მსურს, ყველამ, ვისაც უნდა მკვდარი მიხილოს, იცოდეს, რომ წლების განმავლობაში ვმუშაობდი მდიდარი მუსულმანი ჩინოვნიკის ოჯახში, რომ ამ ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც კარგი მუსულმანები არიან, არ წარმოადგენდა პრობლემას, რომ ქრისტიანი უმზადებდა მათ სადილს და რეცხავდა მათ ჭურჭელს. მათთან ჩემი ცხოვრების 6 წელი გავატარე, და ის ჩემთვის მეორე ოჯახია, რომლის წევრებსაც საკუთარი შვილივით ვუყვარვარ! აღშფოთებული ვარ ღვთის გმობის შესახებ კანონის გამო, რომლის წყალობითაც კვდება უამრავი აჰმადი, ქრისტიანი, მუ-

სულმანი და ინდუსიც კი. უკვე დიდი ხანია, ეს კანონი ციხეში ამწყვდევს უდანაშაულოებს, როგორიც მე ვარ. რატომ უშვებენ ამას პოლიტიკოსები? მხოლოდ პანჯაბის გუბერნატორმა, სალმან ტაზეერმა და უმცირესობათა საქმეების ქრისტიანმა მინისტრმა, შაჰბაზ ბჰატიმ გამოიჩინეს გამბედაობა, რომ საჯაროდ მხარი დაეჭირათ ჩემთვის და შეწინააღმდეგებოდნენ ამ დრომოჭმულ კანონს, რომელიც თავისთავადაა ღვთის გმობა, რადგან თესავს ჩაგვრასა და სიკვდილს ღმერთის სახელით. ამგვარი უსამართლობის მხილებისათვის ეს ორი გაბედული ადამიანი მოკლეს შუა ქუჩაში. ერთი მუსულმანი იყო, მეორე ქრისტიანი. ორივემ იცოდა, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, რადგან რელიგიური ფანატები მათი მოკვლით იმუქრებოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ სათნოებითა და ჰუმანურობით აღსავსე ადამიანებმა არ დაიხიეს უკან რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომ ისლამურ მიწაზე ქრისტიანებს, მუსულმანებსა და ინდუსებს ხელიხელჩაკიდებულებს შეძლებოდათ მშვიდობიანი თანაცხოვრება. მუსულმანი და ქრისტიანი, რომლებიც თავს სწირავენ ერთი და იგივე მიზნისთვის: იქნებ, ამაში არის იმედის უწყება?! ვევედრები ქალწულ მარიამს, დამეხმაროს, გადავიტანო კიდევ ერთი წუთი ჩემი შვილების გარეშე, რომლებიც კითხულობენ, თუ რატომ გაქრა მათი დედა სახლიდან ასე უცაბედად. ღმერთი ყოველდღე მაძლევს ძალას, ავიტანო ეს ამაზრზენი უსამართლობა, მაგრამ როდემდე?!

იტალიურიდან თარგმნა ბესიკ ანდრიაძემ

სულთმოფენობა – ბათუმის ეკლესიის დღესასწაული

ბათუმის საკრებულომ ეკლესიის ზეიმისთვის მზადება ადრიდანვე დაიწყო. სააღდგომო პერიოდში დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ახალი წიგნების პრეზენტაცია, კონფერენცია ბიოეთიკაში, ამ ღონისძიებების ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია უნივერსიტეტის რექტორმა, რაზედაც, ჩვენი საკრებულოს სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებთ; ფილმის ჩვენება, შეხვედრა პოეტ-მუსიკოსთან და სხვ.

პრეზენტაცია ჩატარდა 27 მაისს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორატის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ჩვენი საკრებულოს წევრები და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა წარმოადგინა მის მიერ დაწერილი წიგნი „ზუბალაშვილები“; პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა კი — თავისი სამი ნაშრომი სტამბულისა და მონტობანის ქართული კათოლიკური მონასტრების შესახებ; პროფესორმა მერაბ ღაღანიძემ ისაუბრა წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკაზე „Caritas in veritate“ (ენციკლიკა ქართულად თარგმნა რუსუდან ავალიშვილმა – რედ). მოხსენებებმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მათ ირგვლივ საინტერესო დიალოგი გაიმართა. დამსწრე საზოგადოებამ ბევრი რამ შეიტყო ქართველ კათოლიკეთა და სამშობლოს წინაშე მათი დამსახურების შესახებ, რასაც ადრე ტაბუ ჰქონდა დადებული და საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ. აღნიშნული წიგნები საჩუქრად გადაეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

29 მაისს, წირვის შემდეგ, ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის მ. გაბრიელ ასლანიშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზში მოეწყო ფრანგი რეჟისორის ფილმის — „ღმერთები და ადამიანები“ ჩვენება. ფილმი მოგვითხრობს ალჟირში, მუსულმანურ გარემოში, კათოლიკე მისიონერების ცხოვრების რეალურ ამბავზე, მათ მიერ ღვთის მიმართ მიცემული ფიცის გაუტეხელობასა და მოყვასისადმი თავგანწირვაზე. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე.

5 ივნისს, ამაღლების დღესასწაულზე, ამავე დარბაზში, წირვის შემდეგ, პოეტმა და მუსიკოსმა ინგა გოგუაძემ კონცერტი გამართა ჩვენი მრევლისათვის. მან შეასრულა სიმღერები ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მის მიერ შესრულებულმა რაინერ-მარია რილკეს „ხარებამ“.

11 ივნისს უნივერსიტეტის მცირე საკონფერენციო დარბაზში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ბიოეთიკის თანამედროვე გამოწვევები“. მოხსენება გააკეთა მედიცინის პროფესორმა, საფრანგეთის მედიცინის ნაციონალური აკადემიისა და პაპის აკადემიის წევრმა, საპატიო ორდენის ოფიცერმა ქ-ნმა მარი ოდილ რეთორემ. კონფერენციას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის, ბათუმის მერიის, სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები. კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმართა დისკუსია ე.წ. „სინჯარის ბავშვებზე“, სუროგატ დედებზე და გენეტიკური დაავადებების ირგვლივ.

წლევანდელი სააღდგომო პერიოდი საინტერესო და ნაყოფიერი იყო ბათუმის საკრებულოსთვის. წინ სულთმოფენობა — ჩვენი ეკლესიის დღესასწაული გველოდა. საეკლესიო საბჭოს წევრებმა დავალებები გაინაწილეს და საზეიმო სამზადისში ჩაერთნენ.

12 ივნისს მზიანი დილა გათენდა და ყველანი ხალისით აგვავსო. ბევრ სტუმარს ველოდით. ვიცოდით, რომ ჩვენი სტუმარი იქნებოდა ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და ძვირფასი მამა პიერ დიუმულენი. სტუმრები გვეწვივნენ ქუთაისიდან, შრომიდან. ძლიერ გაგვახარა მამა კარლოს, დიაკონ ედუარდ გოგილაშვილის, ჩვენი მეგობრის, ლალი მარგველაშვილისა და სხვა სტუმრების დანახვამ. ამ დღეს ორმაგად ვზეიმობდით, რადგანაც სტიგმელთა ორდენის დამაარსებლის წმ. გასპარე ბერტონის ხსენების დღეც იყო.

საზეიმო წმ. წირვა 17 საათზე დაიწყო. ედუარდი დიაკონის ხარისხში, ბათუმის საკრებულოსთან ერთად, პირველად მონაწილეობდა წმ. წირვაში. ეპისკოპოსის ქადაგებამ ყველანი დააფიქრა იმ დიდ სიყვარულზე, რომელსაც გვიძღვნის უფალი, სულიწმიდის ნიჭსა და ქრისტიანის მოვალეობებზე.

წირვის შემდეგ, ზეიმმა დარბაზში გადაინაცვლა, სადაც გაიმართა კონცერტი ბავშვების მონაწილეობით. მათ მიერ ოსტატურად შესრულებულმა ხალისიანმა ცეკვებმა და სიმღერებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. საღამო დასრულდა საზეიმო ტკბილი სუფრით. ვფიქრობ, ეს დღე დიდხანს დარჩება მოსაგონრად სტუმარმასპინძელს.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

ტრადიციად გადაქცეული

ვალეს საკრებულოში ტრადიციად იქცა ყოველ წელს ბავშვების პირველი ზიარების საიდუმლოს აღსრულება. ეს ტრადიცია გაგრძელდა და წელს ოცდაათმა ბავშვმა მიიღო პირველი ზიარება. ამ დღისთვის ისინი მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ საკვირაო კატეხიზაციებზე.

კატეხისტი, ეკა ხითარიშვილი ბავშვებზე არანაკლებ ღელავდა, ემოციებს ვერ მალავდნენ მათი მშობლებიც. საზეიმოდ მორთული ბავშვები, თავზე ყვავილების გვირგვინებით და სიხარულისგან გაბადრული სახეებით, ელოდნენ მღელვარე წუთების დადგომას. წმიდა წირვა მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა აღავლინა. იგი ხარობდა იმ ოცდაათი ბავშვის გამო, რომლებიც ამ დღიდან საკრებულოს სრულყოფილი წევრები გახდებოდნენ. წირვის დასასრულს იყო ბევრი მილოცვა, ღიმილი და სიხარული. ბოლოს ყველამ ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

აღსანიშნავია, რომ, ბავშვებთან ერთად, ორმა მშობელმაც მიიღო პირველი ზიარება. სამრევლოს სახელით, ვულოცავ მათ ამ დაუვიწყარ დღეს და ვუსურვებ რწმენაში სიმტკიცეს.

ეს დღე კიდევ იმითაც იყო გამორჩეული, რომ სამოცდაათმა მორწმუნემ მიიღო მირონცხების — კონფირმაციის საიდუმლო. სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ ივლიტას საკრებულოს ორმა და ახალციხის სამრევლოს ათმა წარმომადგენელმა ჩვენს მრევლთან ერთად მიიღო მირონცხება, ასევე, კონფირმაციის საიდუმლოს ეზიარა ახალგაზრდების თხუთმეტკაციანი ჯგუფი, რომლებსაც კატეხისტი ნანა გოგილაშვილი ორი წლის მანძილზე ამზადებდა, უმრავლესობა კი ჩვენი საკრებულოს წევრები იყვნენ, რომლებსაც მამა ზურაბი ამზადებდა ამ დღისთვის.

ჩვენთან იმყოფებოდა ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც აღასრულა მირონცხების საიდუმლო. „როდესაც საკრებულოში მირონცხების საიდუმლო სრულდება, ნიშნავს, რომ საკრებულო ცოცხალია“, — აღნიშნა მეუფე ჯუზეპემ ქადაგებაში და დაუმატა, — „თუ ვინმეს მირონცხება სურს, ეს ნიშნავს, რომ მას რწმენის განმტკიცება სურს; როდესაც მცირეწლოვნები ვინათლებით, ჩვენს რწმენაზე პასუხისმგებლობას ვერ ვიღებთ, ახლა კი, ზრდასრულ ასაკში მირონცხების მიღებით, ვამოწმებთ, რომ ჩვენი რწმენა ურყევია და გვსურს, უფრო მეტად განმტკიცდეს“.

წმ. წირვის დასასრულს, ყველამ გაიზიარა სადღესასწაულო ტრაპეზი; მრევლის წევრებმა ეპისკოპოსს სამახსოვრო საჩუქარი უძღვნეს და ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე უსურვეს.

ღვთის კურთხევა არ მოგვკლებოდეს მრავალჟამიერ!

თამარ ჩიტაშვილი

მომლოცველობა კახეთში

თითქმის სამი წელია, რაც წმიდა ნინოს კონგრეგაციის დები, მარი ნოელი, ჟიზელი და პასკალინა ახალციხეში ეწევიან მსახურებას. მათი ჩამოსვლის შემდეგ, საგრძნობლად შეიცვალა საკრებულოს ცხოვრება-საქმიანობა. ისინი გვეხმარებიან წირვის მომზადებაში, გალობების შესწავლაში, ატარებენ კატეხიზაციებს, მსურველებს ასწავლიან ფრანგულ ენას და, საერთოდ, აქტიურად მონაწილეობენ საკრებულოს ცხოვრებაში.

2010 წლის ოქტომბერში მონაზონმა მარი ნოელმა ახალციხისა და ივლიტას საკრებულოებიდან მსურველთა შორის შეარჩია ათი წევრი და დაარსა „წმიდა ნინოს დების მეგობრების“ ჯგუფი. ჩვენ თვეში ერთხელ ვიკრიბებით, ვსაუბრობთ საკრებულოს ცხოვრებაზე, ამა თუ იმ საინტერესო საკითხზე. ამ შეხვედრების შემდეგ, ბევრი რამ გავიგეთ ევროპაში წმ. ნინოს დების კონგრეგაციის საქმიანობაზე, მათ ცხოვრებაზე.

2011 წლის 10-11 ივნისს მოვაწყვეთ ორდღიანი მომლოცველობა. ჩვენი მომლოცველობა, რომელსაც და მარი ნოელი ხელმძღვანელობდა, ანანურის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო. მოვილოცეთ სვეტიცხოველი, ქვის მონასტერი. 11 ივნისს გავემგზავრეთ სიღნაღში, მოვინახულეთ ეკლესია- მონასტრები, წმ. ნინოს საფლავი.

წმიდანის საფლავთან საოცარი გრძნობა დამეუფლა, თვალცრემლიანი, შევევედრე წმ. ნინოს, გაემთლიანებინა საქართველო და გაეძლიერებინა კათოლიკური სარწმუნოება.

მომლოცველობის ყველა მონაწილეს ერთი აზრი უტრიალებდა თავში, გვეცხოვრა ისე, როგორც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, მიგვებაძა მათთვის.

„წმ. ნინოს დების მეგობრების“ სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებთ და მარინოელს ასეთი შთამბეჭდავი და ნაყოფიერი დღეებისათვის, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და იმ მისიის პირნათლად აღსრულებას, რაც მას საქართველოში აკისრია.

ელზა ზუბაშვილი

საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ კიდევ ერთი ახალი პროექტის – „პროფესიული სადურგლო სახელოსნოს“ პრეზენტაცია

2011 წლის 11 მაისს ქ. თბილისში შედგა „საქართველოს კარიტასის“ ახალი პროექტის „პროფესიული სადურგლო სახელოსნოს“ პრეზენტაცია.

პროექტის — „პროფესიული სადურგლო სახელოსნოს“ შექმნის მიზანია, მიეცეთ სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს პროფესიული განათლების საშუალება, რაც მომავალში მათი დასაქმების საწინდარი იქნება. სახელოსნოდან მიღებული შემოსავალი მოხმარდება „საქართველოს კარიტასის“ საქველმოქმედო საქმიანობას.

პროექტის პრეზენტაციას დაესწრნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, ბ-ნი კობა სუბელიანი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი; მისი აღმატებულება, იტალიის ელჩი საქართველოში, ბ-ნი ვიტორიო სანდალი; მისი აღმატებულება, პოლონეთის ელჩი საქართველოში, ქ-ნი ურსულა დოროჟევსკა; საქართველოში იაპონიის ელჩის პირველი მდივანი, ბ-ნი ისამუ აზეჩი; საქართველოში შვეიცარიის ელჩის პირველი მდივანი, ქ-ნი ანიტა შლუესტერი, თბილისის საკრებულოს წევრი ბ-ნი კოკი იონათამიშვილი და სხვა საპატიო სტუმრები სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

პროექტის პრეზენტაციაზე დასასწრებად „საქართველოს კარიტასს“ ქ. ტრენტოდან ჩამოსული მეგობრების, პარტნიორებისა და დონორებისაგან შემდგარი დელეგაცია ესტუმრა: ასოციაცია „იტალია-საქართველოს“ პრეზიდენტი, ბ-ნი ბრუნო ფრონცა; ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ბ-ნი ტულიო ოდორიცი; ტრენტოს მთავარეპისკოპოსის, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მონსინიორ ლუიჯი ბრესანის წარმომადგენელი, მონსინიორ უმბერტო ჯიაკომეტი; „ვიტა-ტრენტინას“ ჟურნალისტი, ბ-ნი პიერ ჯორჯო ფრანჩესკინი; ტრენტოს ავტონომიური ოლქის ემიგრაციისა და საერთაშორისო სოლიდარობის დეპარტამენტის წარმომადგენელი, ქ-ნი მანუელა ჯოზეფი; ტრენტოს ავტონომიური ოლქის ალტო-ადიჯეს წარმომადგენლები, ქ-ნი ედიტ ენგლ სტეფანი და ბ-ნი ფრანჩესკო მარკოვეკიო; „ბუტერინის“ ფირმის თანამშრომელი, ბ-ნი ანდრეა ბუტერინი. სწორედ მათი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა აღნიშნული პროექტი.

„პროფესიული სადურგლო სახელოსნოს“ აშენებისა და აღჭურვისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ყველა ჩვენს პარტნიორსა და დონორ ორგანიზაციას.

„საქართველოს კარიტასი“ –
ნინო ჭარხალაშვილი

გოგონების ფრენბურთი ხიზაბავრში

2011 წლის 10 ივნისს, ხიზაბავრის ახალგაზრდებმა ფრენბურთის ამხანაგურ მატჩზე მიგვიწვიეს ვალელი გოგონები.

ხიზაბავრაში სიხარულით და მეგობრულად მიგვიღეს, ნამდვილად სასიამოვნო იყო ასეთი დახვედრა. მზიანი ამინდი იდგა და შეჯიბრებისათვის კარგი ატმოსფერო და შესაბამისი გარემო სუფევდა. ყველაფერი ხელს გვიწყობდა, რომ მატჩი მეგობრულ და სასიამოვნო ვითარებაში წარმართულიყო. მართლაც, ჩვენი გუმანი გამართლდა და ხალისიანად და მხიარულად დავიწყეთ თამაში. პირველ ტაიმში ვალელებმა ვიაქტიურეთ და ხიზაბავრელი გოგონები დავამარცხეთ ანგარიშით 1:0. შეხვედრის მეორე ნახევარიც დიდი მონდომებითა და მხიარულებით დაიწყო ორივე გუნდმა, მაგრამ აქ უკვე ხიზაბავრელმა გოგონებმა იყოჩაღეს და შეჯიბრიც მათ სასარგებლოდ, 2:1-ით დასრულდა.

მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ამ შეჯიბრში ანგარიშს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც ყველაფერი ხალისიანად დასრულდა, ჩვენს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა; აქ მთავარი მოგება ან წაგება კი არ იყო, არამედ ის, რომ ამ ორი ულამაზესი სამრევლოს ახალგაზ-

რდებს ურთიერთგაცნობისა და დამეგობრების საშუალება მოგვეცა; შეხვედრაც ხომ ამ მიზნით გაიმართა.

თამაშის დასრულების შემდეგ, ხიზაბავრელმა ახალგაზრდებმა გულუხვად გვიმასპინძლეს, რისთვისაც დიდად მადლიერი ვართ მათი. მაგრამ ეს მშვენიერი დღე ამით არ დასრულებულა, სადილის შემდეგაც განვაგრძეთ თამაში და მხიარულება. გამომშვიდობებისას კი სამახსოვრო საჩუქრები გავუცვალეთ ერთმანეთს. ასევე, არ დაგვიწყებია მამა პაატა ქომოშვილის მღვდლად კურთხევის ორი წლისთავიც და მას წმ. ნინოს უმშვენიერესი ხატი ვუსახსოვრეთ.

ხიზაბავრელმა ახალგაზრდებმა კი დაასაჩუქრეს მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდითაა.

დღე მიიწურა და ჩვენი წამოსვლის დროც დადგა, მასპინძლები გვთხოვდნენ, რომ მათთან ერთად გვეზეიმა სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაული. მართალია, აღარ გვეთმობოდა ერთმანეთი, მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა გვედო და ჩვენც გულთბილად დავემშვიდობეთ მასპინძლებს, იმ იმედით, რომ მომავალი წინაა და კიდევ მრავალჯერ გვექნება მსგავსი შეხვედრები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ერთ მუშტად შეკვრასა და მეგობრობას.

ნათია დემეტრაძე

ბათუმის „საოჯახო სახლი“

პაპ იოანე XXIII-ს საზოგადოებას 2007 წლიდან ბათუმში გახსნილი აქვს ამ საზოგადოების დამფუძნებლის, მამა ორესტე ბენზის სახელობის „საოჯახო სახლი“. იგი წარმოადგენს საცხოვრებელ და საგანმანათლებლო გაერთიანებას, რომელიც ყველაფრით ჰგავს ნამდვილ ოჯახს. ამ სახლში ყოველთვის არიან მშობელივით მზრუნველი პიროვნებები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას თავდადებით უძღვნიან გაჭირვებულ ადამიანებს, რომელთაც აქ შეუძლიათ, იპოვონ დები და ძმები, ბიძები და დეიდები, ბებიაბაბუები, ახალგაზრდები და მოხუცები, რომელთა შორის არიან როგორც ჩვეულებრივი, ასევე განსხვავებულუნარიანი და სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანები. „საოჯახო სახლი“ ყველასთვის ღიაა, განურჩევლად ასაკისა, სირთულეებისა და გარემოებებისა. როგორც ნამდვილ ოჯახში, აქაც მშობლიური და და-ძმური ურთიერთობებია. ოჯახის „მშობლები“ ცდილობენ შექმნან უშუალო გარემო, დიდ ყურადღებას უთმობენ „თავიანთი შვილების“ გრძნობებს.

ამჟამად ბათუმის „საოჯახო სახლი“ ღებულობს ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკის მოზარდებს, რომელთა ოჯახებს არასტაბილური ფინანსური, ან სოციალური პრობლემები აქვთ. უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენ მივესალმებით ასეთი ბავშვების კავშირს მშობლიურ ოჯახთან. ჩვენი „საოჯახო სახლი“ ეხმარება მობინადრეთა იმ ნათესავებს, რომლებიც ჩვენთან არ ცხოვრობენ. ასევე ეხმარებიან სხვა გაჭირვებულ ოჯახებს საკვებითა და წამლებით. მოზარდებს ხელს ვუწყობთ განათლების მიღებაში, ხოლო უფროსებს ვეხმარებით სამუშაოს მოძებნაში.

ბოლო ხანებში გაიზარდა ბავშვთა სახლებიდან გადმოსული ბავშვებისა და სხვა გაჭირვებული ახალგაზრდების მოთხოვნილებები. „საოჯახო სახლის“ საგანმანათლებლო მოდელმა შეიძინა უფრო მეტად პედაგოგიური მნიშვნელობა, ვინაიდან პატარა საოჯახო ერთეული, დიდ დაწესებულებებთან შედარებით, უკეთესად ახერხებს ადამიანის პირადი ცხოვრების ყველა ასპექტისადმი ყურადღების მიქცევას. „საოჯახო სახლში“ ხორციელდება სპეციალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აქ მცხოვრები ყველა ბავშვის ბუნებრივი თვისებების მაქსიმალურ გამომჟღავნებას და მათი პირადი პრობლემების გადაჭრას. ჩვენს სახლში ბავშვებს აქვთ გულწრფელი და პატიოსანი ურთიერთობები, ისინი სწავლობენ ერთად ცხოვრების სიხარულსა და სირთულეებს, როგორც ეს ნამდვილ ოჯახებში ხდება. ყოველდღიური ცხოვრების შედეგად, ბავშვებს შორის ვითარდება მყარი ურთიერთობები, რაც ხელს უწყობს მშობლიური ოჯახის გარეშე ცხოვრებით განპირობებული პრობლემების გადაჭრას.

პაპ იოანე XXIII-ს საზოგადოება
ბათუმი

ოცნების გზაზე

ახალციხის ახალგაზრდა ინვალიდთა ცენტრმა 6 ივნისს ექსკურსია მოაწყო ადიგენის რაიონის სოფელ ზარზმაში.

აღსანიშნავია, რომ ზარზმის ეკლესია მართლმადიდებლურია და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბევრი მომლოცველი სტუმრობს.

ამ ექსკურსიას ახალგაზრდები სულმოუთქმელად ელოდნენ, მათთვის ეს ოცნების ასრულებაც იყო. ისინი ზარზმის ეკლესიაში ემოციებს ვერ მალავდნენ. ბევრი მათგანი მიმიკებითა და ჟესტებით გამოხატავდა ღვთისადმი სიყვარულს და უფალს გამოჯანმრთელებასა და დახმარებას სთხოვდა.

ერთი სიტყვით, კარჩაკეტილი ახალგაზრდებისათვის ბუნებაში გასვლა ფრთების გაშლას ჰგავდა.

ახალგაზრდები ექსკურსიით იმდენად კმაყოფილები დარჩნენ, რომ შინ დაბრუნება აღარ სურდათ და მთელი გზა საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდნენ და ოცნების ასრულებას თავისებურად გამოხატავდნენ. მათ იგრძნეს, რომ ისინიც ჩვენსავით ღვთის შვილები არიან.

მელანო ჩილინგარაშვილი

საარქივო მასალები

ქართველთა
გადაგვარების
საქმეს ერთობ ხელს
უწყობდა სხვა და სხვა
ერის სამღვდელოთა ენერ-
გიული მეცადინეობა და შრომა.
პატრმა ნიკოლამ პირველმა დაიწყო
მოქმედება ქართველთა სასარგებლოდ.
მან აიყოლია მრავალი სხვა პატრები და ისი-
ნიც დაარწმუნა მასზე, რომ საქართველოში კა-
თოლიკენი ქართველებიც არიანო და მათ ეკლესიებ-
ში დედა-ენაზე უნდა ჰქონდეთ წირვა-ლოცვა, ქადაგება
და აღსარების თქმაო. პატრების მეოხებით ქართველ-კა-
თოლიკენი რომმა ადრევე სცნო, სომეხმა კათოლიკეებმა
კი ეს არ ქმნეს.

უკანასკნელ საქმე რომ გაჭირდა, ჯავახეთის ქარ-
თველთაგან ზოგიერთებმა იწყეს საქვეყნოდ მხილება, რომ
ჩვენ ქართველი კათოლიკები ვართ და არა სომხისაო,
ჩვენ ქართული ენის მცოდნე პატრები გვინდაო, ჩვენმა
ხუცებმა ქართულ; არ იციანო. მაშინ ეკლესიები სომეხ-
კათოლიკეებს ჰქონდათ დაკავებული, იქ რომის ლათინთ
პატრებს არ უშვებდნენ სამწირველოდ. ოსმალის მთავ-
რობის დროს ეკლესიების შენების ნებას ქრისტიანებს
ადვილად არ აძლევდნენ, მაგრამ პატრმა ნიკოლამ იმე-
ცადინა და სტამბოლში ნება აიღო, ღვთისმშობლის სა-
ხელზე, ქართველ-კათოლიკეთ ეკლესიის აღშენებისა. ამ
დროს ახალციხის ფაშად უსუფი მჯდარა. მელიქ ელიზ-
ბარი მამასახლისად ყოფილა. პატრმა ნიკოლამ მალე ქვა,
კირი და შეშა დაამზადა, მერე მოვიდა და ფირმანი ფაშას
უჩვენა. ფაშამ ნება დართო მონასტრის აშენების. შენე-
ბა მალე დაიწყო და მონასტერი რამდენიმე ხნის შემდეგ
მზად იყო. პატრები უნდა დასახლებულიყვნენ აქ. რომის
ლათინთ რიგის ქართველი პატრები აქ მოვიდნენ და აქე-
დან დაიწყებდნენ ქართული ენით მოქმედებას. მონასტე-
რი ახალციხეში ააშენეს.

პატრი ნიკოლას მეცადინეობა ყველამ შეიტყო, მათ
შორის სომეხ-გრიგორიანელმა და სომეხ-კათოლიკე ხუ-
ცებმაც. ძლიერ ეწყინათ ამათ. განვლო მცირე დრომ
და ახლად დამთავრებულ მონასტერს დაეცა მოლა ქა-
ლი-მაჯიმ და დააქცია! ამ საქმემ თავზარი დასცა პატრ
ნიკოლას. ამ დროს რომიდან სხვა პატრებიც მოვიდნენ,
ქართული ენის მცოდნენი. პატრი ნიკოლა წავიდა ახალ-
ციხის ფაშასთან და იჩივლა. ფაშა სახლში წაიყვანა, მერე
მონასტერში მივიდნენ, ნახეს დაქცეული მონასტერი.
საჩქაროდ ფაშამ დაიბარა ყადი, მუფტი, იენიჩარ აღა,
იჯახლები, მოლლები, გამოძიება მოხდა, მერე დაიწყეს
დაქცეული მონასტრის გაზომვა, ფაშას ბრძანებით დაწე-
რეს ყველაფერი. შემდეგ ორი მოწმე მოითხოვეს, რათა
დაემოწმებინათ, რომ ქალი-მაჯიმ მოლლამ დააქცევინა
მონასტერიო, თორემ არაფერი გამოვაო. პატრმა მოახ-
სენა ძალიან კარგი იქნებაო.

ამ დროს პატრ ნიკოლასთან მივიდნენ სხვა და
სხვა გავლენიანი პირები, ქეთხუდები და სიხარულით
მიულოცეს, რომ ასე დაიკავე საქმეო. „თქვენ ფიქრი ნუ
გაქვთ, ოლონდ საქმეს თავს ნუ დაანებებთ და ეკლესიას
ჩვენ აღვაგებთ მალეო. თეთრაშვილმა პარუნ სიმონმა
უთხრა: ეკლესიის ერთი გვერდის კედელს მე ავაშენებ
ჩემი ხარჯითო. ხოჯივანაანთ ბატონჯანმა უთხრა: მე-
ორე კედელს მე ავაშენებო. მაქანდარიანთ ზურაბმა უთ-
ხრა: ზედა გვერდის კედელს და ბემბეს მე გავაკეთებო“.
პატრი ნიკოლა გაამხნევეს, შემწირველნი პატრმა დალო-
ცა. აქ მოხსენებული გვარები მთლად ქართველთა გვა-
რებია, ჯავახელების, ძველი ქართველების, სარწმუნო-
ებით კათოლიკეების.

ტერ-იოვანესი ოსმალოს მთავრობას ცუდ რამეებს
ასმენდა პატრ ნიკოლაზე. ფაშებს და სხვებს ბევრი პა-
ტივი მისცა. ყველას იმას ევედრებოდა, რომ პატრ ნიკო-
ლას ეკლესიის აშენების ნებას ნუ მისცემთო. ოსმალებმა
პატრ ნიკოლას დაუშალეს ეკლესიის გაკეთება.

მოქართულე პატრებში ქართული გვარის პატრებიც
იყვნენ. ისინი მიხვდნენ, რომ ქართველები კარგავდნენ
თავის წარმოშობას, როდესაც ხდებოდნენ მუსულმანები,
გრიგორიანელები ან სომეხ-კათოლიკეები.

მოქართულე პატრები ამის წინააღმდეგ წავიდნენ, მათ
სურდათ, რომ სომეხი სომხად დარჩენილიყო და ქარ-
თველი ქართველად. ამას ითხოვდა ქრისტიანობაც.

პატრი ნიკოლა არწმუნებდა რომს, რომ საქართველო-
ში და ოსმალეთის საქართველოში ქართველი კათოლი-
კეები ცხოვრობენო. იმ დროის ქართველ კათოლიკებში
პატრი ალიოზი ერთ გულმხურვალე ქართველ მოძღვ-
რად ითვლებოდა, როგორც შეეძლო ისე ემსახურებოდა
ქართველ მრევლს ქართული ენით. ხალხს ამიტომ უყ-
ვარდა პატრები, რომ მათ ქართული ენა იცოდნენ, ხალხს
ქართულად ესაუბრებოდნენ. სომეხი კათოლიკე ხუცები
კი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ქართულს ვერ ვისწავ-
ლით, თქვენ ისწავლეთ სომხური ენაო, ამ ენაზე უნდა
გვითხრათ აღსარება და გვესაუბროთო.

პატრმა ნიკოლამ საქართველოზე რომში ბევრი ცნობე-
ბი გზავნა, ამაზე წინათ ცნობებს გზავნიდა პატრი ივანე,
პატრი ანტონი, უკანასკნელ პატრი ანდრია. ერთი ცნობა
მოწმობს, რომ პატრების რეზიდენცია იყო ახალციხეში.
რომი მოჰფინეს პატრებმა ახალციხის ცნობებით, პატ-
რები ითხოვდნენ ახალციხეში რომის ან საფრანგეთის
კონსული დაინიშნოსო, რომ ჩვენს მოქმედებას თვალყუ-
რი ადევნოს და ადგილობრივ ქრისტიანებს მფარველობა
გაუწიოსო. მეფე ერეკლეც თურმე ამას სთხოვდა იმპე-
რატორ იოსებს პატრი ანტონი მეორეს პირით და პატრი
მავროსი 1782 წელს, რომ ახალციხეში კონსული დასვი-
თო, მაგრამ ეს თხოვნა ვერ შესრულდა, სიშორემ დააბრ-
კოლა დახმარების აღმოჩენა.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი მის
დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიოს I



(Fozio – *ფოტი*; *კონსტანტინოპოლი*, 820 *წ.* – *სიმხეთი*, 6/02/893 *წ*), „დიდად“ წოდებული, აღმოსავლური ეკლესიისა და კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფიგურაა. მას მოუწია ცხოვრება ბიზანტიის ისტორიის მრავლისმეტყველ და მღელვარე ეპოქაში, როგორც პოლიტიკური, ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისით. ფოტიოსი აქტიურად მონაწილეობდა როგორც ერთ, ისევე მეორე სარბიელზე. მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ამ პიროვნებაზე საუბარი არც ისე ადვილია, მით უმეტეს, ძნელია მის ქმედებათა განსჯა; და მაინც, შევეცდებით დავეყრდნოთ იმ ახალ მოსაზრებებს, რომლებიც გამოჩენილმა მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს ამ პიროვნებისა და მისი საქმიანობის შესწავლის შედეგად; ასევე გავითვალისწინებთ ზოგიერთი ფსევდო-ორთოდოქსული ჯგუფის მოსაზრებას ფოტიოსის შესახებ. ყოველივე ამის გამო, საჭიროდ ჩავთვალეთ, გადაგვეხედა მისი ცხოვრების, იმდროინდელი ეპოქის, ისტორიოგრაფიისა და ზოგიერთი იდეოლოგიური კონცეფციისათვის, რათა თავი დაგვეღწია იმ ჩიხიდან, სადაც ოდესღაც მოემწყვდა როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი. უპირველესად, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას: მართალია, რომ ფოტიოსი დასავლური ეკლესიის, მისი ტრადიციებისა და პაპის დაუნდობლად მგმობელი იყო? რატომ მიიჩნევენ მას ორთოდოქსიის დამცველად? მართებულია, რომ დღეს ტერმინი „მართლმადიდებლობა“ სრულიად განსხვავებულ კონტექსტში იხმარება, ვიდრე იმ ეპოქაში, როდესაც „მართლმადიდებლობა“ არ ნიშნავდა კათოლიკობასთან დაპირისპირებასა და შეურიგებლობას? თუკი ფოტიოსი უაღრესად კულტურული და განსწავლული ადამიანი გახლდათ, მაშინ რატომ წარმოაჩენენ მას შეზღუდულ ადამიანად, ანუ კულტურის, დიალოგის მოწინააღმდეგედ? გამომდინარე იქიდან, რომ ფოტიოსი წმინდანად შერაცხეს ეკლესიათა გათიშვამდე, ანუ 1054 წლამდე, ლოგიკურად ისმება კითხვა, რატომ არ შეიძლება წმიდანად აღიაროს იგი თვით დასავლეთმაც? მართალია, რომ მისი ვაჟი არჩეულ იქნა რომის პაპად, როგორც თეოდორე II?

სათავეები

ფოტიოსი კონსტანტინოპოლში იმ დროს დაიბადა, როცა პატრიარქის ტახტზე ბიძამისი, ნიკიფორე I იჯდა და მისი ოჯახი გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა; მამამისი სერგი, საიმპერიო არმიის მეთაური, ეკლესიამ წმიდანად შერაცხა; მისი ძმა, წმ. პატრიარქი ტარასი 787 წელს VII ეკუმენურ კრებას თავმჯდომარეობდა, სადაც ხატმებრძოლეობის ერესი დაგმეს. ფოტიოსის დედა ირენე, იმპერატრიცას წმ. თეოდორას და, ღვთისმოსავი და სათნო ადამიანი იყო, რომელმაც წმიდა პატრიარქის, მეთოდეს დახმარებით, 843 წლის კრებაზე წმიდა ხატის კულტი დაადგინა. იკონოკლასტი იმპერატორის, თეოფილეს (829-842) ჟამს, როდესაც ორთოდოქსების წინააღმდეგ გაშმაგებული დევნა წარმოებდა, მორწმუნეთა და ერისკაცთა შორის მრავლად იყვნენ ისეთები, — უფრო მეტად კი ბერ-მონაზვნები, — რომლებიც მოთმინებით იტანდნენ ყოველგვარ შევიწროებას. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ფოტიოსის მშობლები, რომლებსაც წაართვეს მთელი ქონება, გააძევეს თავიანთ ხუთ შვილთან ერთად და ანათემას გადასცეს. თავის წერილებში ფოტიოსი გულახდილად საუბრობს ამ პერიოდზე და იმაზეც, თუ როგორი სიმტკიცით აღიარებდა და იცავდა იგი ბავშვობიდანვე წმიდა სამოციქულო რწმენას და მამათა მოძღვრებას. მართალია, ის ადრეული ასაკიდანვე ამჟღავნებდა საეკლესიო ცხოვრებისადმი ინტერესს, განმარტოებით ლოცულობდა, — როგორც ამას თავად აღნიშნავს, — მაგრამ მშობლებმა მის მაგივრად გადაწყვიტეს, რომ იგი საერო გზას გაჰყოლოდა. ჯერ კიდევ მოზარდმა, დიდი ნიჭი გამოამჟღავნა; თვით მისი მოქიშპეებიც აღიარებდნენ მის სიბრძნესა და ღრმა ერუდიციას. მათ შორის ყველაზე აგრესიული ნიკიტა პაფლაგონიელი წერდა: „... *რაც შეეხება ამა სოფლის სიბრძნეს და მის რაციონალურ ნებას, იგი იმპერიის ყველაზე განსწავლულ პირად მიიჩნეოდა*“.

ფოტიოსმა შესანიშნავი განათლება მიიღო: მან იმდროინდელ სახელმოხვეჭილ პედაგოგებთან შეისწავლა

გრამატიკა, პოეზია, რიტორიკა, ფილოსოფია, მედიცინა და თითქმის ყველა პროფანული მეცნიერება. ამასთანავე, ღრმად შეისწავლა საღვთო წერილი და წმიდა მამათა სწავლებანი. ფოტიოსმა სულ მალე მოიპოვა ბრძენი და განსწავლული ადამიანის რეპუტაცია ახალგაზრდებს შორის, რომლებიც, მოხიბლულნი მისი ნიჭითა და სულიერებით, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ მის მოსასმენად. არცთუ იშვიათად, მისი ძმა ტარასიც ისმენდა მის გაკვეთილებს. ფოტიოსი ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დოცენტი გახდა, სულ მალე მან თავი გამოიჩინა, როგორც კლასიკური ანტიკური და ელინური ტექსტების ტრანსლიტერაციის დიდოსტატმა, და გავლენიანი ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწის, ბარდას (ფაქტობრივად, სახელმწიფოს მმართველი მცირეწლოვანი იმპერატორის, მიხეილ III-ის დროს) საიმპერიო უნივერსიტეტის უთვალსაჩინოესმა პროფესორმა. მის მოწაფეთა შორის იყვნენ მომავალი იმპერატორი ლეონ ფილოსოფოსი, არეთა კესარიელი, კირილე და მეთოდე...

ფოტიოსს შეეძლო თავისი სიყრმისდროინდელი სურვილი აეხდინა — გამხდარიყო მღვდელი, იმპერატორ მიხეილ III-ს საიმპერიო სასახლეში, ანუ პოლიტიკურ სარბიელზე რომ არ მიეწვია იგი, რაც საიმპერიო ოჯახთან ნათესაური კავშირებით იყო განპირობებული (მისი ძმა იმპერატორ თეოფილე ბიზანტიელის დეიდაზე იყო დაქორწინებული). ფოტიოსი სულ მოკლე ხანში იკავებს პრესტიჟულ ადგილს, ხდება სახელმწიფო მდივანი და იმპერატორის დაცვის კაპიტანი. მისი ნიჭის მაღიარებელ იმპერატორს წუთითაც არ უყოყმანია, როცა ფოტიოსი, თავის მოწაფესთან, კირილესთან ერთად, დესპანად გაუშვა სპარსეთის ხალიფასთან მოსალაპარაკებლად, რათა მას შეეწყვიტა ქრისტიანთა დევნა მის მიწაზე.

ფოტიოსი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი

ძნელია ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ფოტიოსზე და მის ცხოვრებაზე, თუ გვერდს ავუვლით იმ ისტორიულ პერიოდს, რომელშიც იგი ცხოვრობდა: ხატმებრძოლეობა, კომპრომისები ხატმებრძოლებთან, საღვთო წერილის სწავლებაზე თავგამოდებული ბერები და მათი სასტიკი მოწინააღმდეგენი; პატრიარქი მეთოდე (843-847), რომელიც ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა.

პატრიარქ მეთოდეს სიკვდილის შემდეგ, საპატრიარქო ტახტზე ავიდა ეგნატე (847 წ., 3 ივლისი), ყოფილი იმპერატორის მიხეილ რანგაბეს შვილი, ბერი, რომელსაც მხარს უჭერდა იმპერატრიცა თეოდორა. მას ასევე სწყალობდნენ ეპისკოპოსები, რადგანაც ზემოაღნიშნულ ისტორიაში კომპრომისებზე აშკარად არ წასულა, თუმცა ყველა როდი იყო მისი მომხრე. მაგალითად, სირაკუზის მთავარეპისკოპოსი, გრეგორი ასვესტა, რომელიც 438 წელს, არაბების შემოსევისა და ბიზანტიის პატრიარქის ტახტის ანექსიის შემდეგ, ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში. გამორიცხული არაა, რომ მეთოდეს სიკვდილის შემდეგ, მას საეპისკოპოსო კათედრის დასაკავებლად ებრძოლა.

სიმართლე ისაა, რომ ეგნატე, სწორედ თავისი კონსაკრაციის დღეს დაუპირისპირდა მას საჯაროდ, რამაც მათ შორის ქიშპობა ჩამოაგდო: ეგნატემ გრეგორი სრულიად უცერემონიოდ გადააყენა (მის გადაყენებაში წვლილი იმპერატრიცას უფრო მიუძღვოდა, ვიდრე სინოდს). სამართლიანობაში დაეჭვებულმა გრეგორმა, სარჩელი რომში აღძრა. ამით იგი ეგნატეს მიერ მოწვეულ სინოდს უპირისპირდებოდა და კვლავ სადავოს ხდიდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტს. თავის მხრივ, ეგნატემ პაპ ლეონ IV-ს გრეგორის გადაყენება მოსთხოვა. მაგრამ პაპმა გრეგორი დამნაშავედ არ სცნო და, კონფრონტაციის მიზნით, ორივე მხარე თავისთან მიიწვია.

რომის პაპთან სარჩელის შეტანა *პრაქტიკაში კონსტანტინოპოლის რომთან შერიგების შემდეგ დაინერგა, რამაც ბიზანტიის ეკლესიის შიდა საქმეებში რომის ეპისკოპოსის ერთგვარი მორალური და, შეიძლება ითქვას, იურიდიული ავტორიტეტიც შეიტანა*, რაც არცთუ მთლად ნათელი და იოლად გასაგებია კონსტანტინოპოლში მომხდარი ფაქტების გამო. ეგნატეს კიდევ ერთმა თხოვნამ რომის კურიაში, რაც ამჯერად ლეონ IV-ის მემკვიდრემ, ბენედიქტე III-მ მიიღო, იგივე ბედი გაიზიარა. კონსტანტინოპოლში 857 წელს გადმოგზავნილმა პასუხმა ეგნატემდე მხოლოდ 858 წელს მოაღწია.

გარკვული ხნის შემდეგ, პატრიარქს კვლავ დასჭირდა სამოციქულო საყდრის მხარდაჭერა: 858 წლის 23 ნოემბერს... მანამდე კი, 857 წელს, იმპერატორმა მიხეილ III-მ (842-867, რომელსაც მეტსახელად ლოთს უწოდებდნენ, რადგანაც ზედიზედ სამოცდაათ სასმისს სვამდა) შეცვალა მამამისი, თეოფილე II ბიზანტიელი (842), რადგანაც, მცირეწლოვანობის გამო, მას არ შეეძლო, გაძღოლოდა სახელმწიფოს, იმპერიის მართვა დედას, იმპერატრიცა თეოდორას დაეკისრა, რომელიც ამ მოვალეობას 858 წლამდე ასრულებდა.

856 წლის მარტში, მიხეილ III (842-867) სრულწლოვნი გახდა. ამან წერტილი დაუსვა თეოქტისტეს ზეგავლენას, რომელიც იმპერიის მმართველის, თეოდორას გვერდით თავად გარდაცვლილი იმპერატორის სურვილით აღმოჩნდა. თეოქტისტე სულ მალე მოკლეს და ძალაუფლებაც ბარდას, მიხეილის ბიძის ხელში გადავიდა, რომელიც 859 წელს კურაპალატი გახდა, ხოლო 862 წელს კეისრის ტიტული მიიღო. თეოდორას ისღა დარჩენოდა, რომ არენიდან გამქრალიყო; ახლა, როდესაც ძალაუფლების გამო ბრძოლა გაჩაღდა, ეგნატე ნეიტრალურ პოზიციაზე ვერ დარჩებოდა: იგი მიემხრო ღვთისმოშიშ დედოფალს (რომელმაც ანათემას გადასცა ხატმებრძოლები და საზეიმოდ აღადგინა წმინდა ხატების თაყვანისცემა. ამ და სხვა ღვაწლისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დედოფალი კანონიზებულ იქნა წმინდანად), ბარდა კი, რომელიც უაღრესად განათლებული და გონიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბალი მორალური შეგნების იყო, მხოლოდ უარყოფით გრძნობებს იწვევდა მასში. მიუხედავად იმისა, რომ ბარდა არ იყო სამაგალითო პიროვნება და მას ათასგვარ სისაძაგლეს მიაწერდნენ, წესით, ეგნატეს არ უნდა ერწმუნა მონასტრიდან წამოსული ჭორები. დადგა ის დღეც (858 წ., ეპიფანია – უფლის გაცხადების დღესასწაული), როდესაც

იმპერატრიცა თეოდორა

პატრიარქმა მას გაქცევის გამო ზიარება შეუწყვიტა. იმავე წელს პატრიარქმა ეგნატემ დედა იმპერატრიცასა და მის ერთ-ერთ ქალიშვილს უარი უთხრა მონასტერში მონაზვნად აღკვეცაზე, რადგანაც არ სურდა ამ პაროდიაში მონაწილეობის მიღება. ეგნატე, შეთქმულებთან კავშირის ბრალდებით, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ კი პრინცთა არქიპელაგზე, კუნძულ თერებინტოზე გადაასახლეს. საჭირო გახდა ახალი პატრიარქის დანიშვნა, მსგავსი პრეცედენტი, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, მოხდა 843 წელს, როდესაც თეოდორამ პატრიარქად მეთოდე დანიშნა წმიდა ხატების მოძულე, იოანე გრამატიკელის ადგილზე; ოცდაათი წლით ადრე, ლეონ სომეხის ბრძანებით, ხატმებრძოლმა თეოდორე კასიტიერმა შეცვალა მართლმადიდებელი ნიკიფორე. ამჯერად, თეოდორას უნდა დაენიშნა კონსტანტინოპოლის ახალი პატრიარქი. შესაფერის კანდიდატურას მან ერისკაცთა შორის დაუწყო ძებნა, ანუ მას, ვისაც საპატიო ტიტულები და ღირსება ექნებოდა ამ მაღალი პოსტისთვის, და თანაც სხვადასხვა სახის კომპრომისებზე არ წავიდოდა. სწორედ ამ პერიოდში, ქიშპობისა და ინტრიგების ფონზე, გამოიკვეთა ფოტიოსის ფიგურა. თუმცა ნამდვილად არაკორექტული იქნებოდა, რომ ამ საიმპერიო სკანდალებში გაგვესვარა იგი, რამეთუ ფოტიოსი არანაირ ინტერესს არ იჩენდა იმპერატორის ან ბარდას პირადი საქმეების მიმართ. უფრო მოგვიანებით, მას მოსთხოვეს, დათმობაზე წასულიყო იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იყო გრეგორი ასვესტასთან. იგი პატრიარქ ეგნატეს წინააღმდეგ მოქმედებდა და მის ადგილს უმიზნებდა;

საბოლოოდ, თეოდორას არჩევანი ფოტიოსზე შეჩერდა, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ერისკაცი იყო და იმპერატორის სამდივნოს უძღვებოდა. თეოდორამ იგი, პატრიარქ ეგნატეს გადასახლებიდან სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ, ეპისკოპოსად გამოაცხადა; ხელდასხმა გრეგორი ასვესტასგან მიიღო და ამავე

წლის (858 წ.) შობაზე, ფოტიოსი კონსტანტინოპოლს პატრიარქად მოევლინა.

ის წესი, რომლის მიხედვითაც ფოტიოსი პატრიარქად ეკურთხა (858-867), ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანი გახდა: ფოტიოსს უცხოდ, „შემოჭრილად“ მიიჩნევდნენ. მართალია, იგი უბრალო ერისკაცი იყო, ანუ როგორც ამბობდნენ „ნეოფიტი“, მაგრამ ისტორიაში ასეთი პრეცედენტებიც გვხვდება. მაგალითისათვის, სულაც არაა საჭირო, IV საუკუნეში გადავიდეთ, საკმარისია უახლესი ფაქტის გახსენება ტარასიო დე კასიტერას შესახებ; ამ წესს, – „ნეოფიტების“ შესახებ, — ისეთი წინააღმდეგობა არ ჰქონია აქ, როგორც რომში; ფოტიუსისადმი თვით ყველაზე მტრულად განწყობილი ბერძნული წყაროები მის არჩევაზე თითქმის არაფერს ამბობენ. გაცილებით უფრო სერიოზული იყო ის ფაქტი, რომ საპატრიარქო ტახტი, რაზეც ფოტიუსი დასვეს, თავისუფალი არ იყო. ანალოგიურ შემთხვევებში, პატრიარქები, რომლებიც საერო ძალაუფლებას ვეღარ ფლობდნენ, პოსტს ტოვებდნენ.

პატრიარქი მეთოდე

ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის იყო, რომ ეგნატეს რეაქციის ეშინოდათ, იგი ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი თავისი სიკერპით. ეს პრობლემაც მოგვარდა, როდესაც ეგნატემ ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომის აქტს, რაც სხვა კანდიდატს საპატრიარქო ტახტზე ასვლის პირობას უქმნიდა. უფრო მოგვიანებით, ბედს შეგუებულ ეგნატეს მოსთხოვეს, მიტროპოლიტებისთვის დაევალებინა, რომ პატრიარქი თავიანთი ჯგუფიდან არ აერჩიათ. მაინც ვისზე აკეთებდნენ აქცენტს? უეჭველია, ასვესტასა და მის მომხრეთა ჯგუფზე.

ისმის კითხვა: იყო თუ არა ფოტიოსი ეგნატესთან კავშირში? სინამდვილეში მას აზრადაც არ მოუვიდოდა, და ვერც წარმოიდგენდა, მსოფლიო პატრიარქის ტახტზე თუ ავიდოდა. მოკლედ, შესანიშნავი მისია იკვეთებოდა: მშვიდობისმყოფელის როლი, და პატივმოყვარე ფოტიოსიც ბარდას წინადადებას დათანხმდა. ის შეეცადა, მეგობრულად მოქცეოდა გადამდგარ პატრიარქს, რისთვისაც მან შესაფერისი ხერხიც კი გამოძებნა: ფოტიოსი აღიარებდა ეგნატეს საპატრიარქო ღვაწლს და უმნიშვნელოვანეს საქმეებში მის რჩევებს გაითვალისწინებდა. დათანხმდა კი ამგვარ კომპრომისს ეგნატე? ძნელია ამის თქმა. თუმცა ფოტიოსი კმაყოფილი ჩანდა.

მღელვარება ფოტიოსის წინააღმდეგ

ფოტიოსის პატრიარქობის პირველივე დღიდანვე დაიძაბა ვითარება; მოვლენები სწრაფად განვითარდა. ეგნატეს პარტიამ, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი და ძლიერი მომხრეები ჰყავდა (მათ შორის იყო სმირნის ეპისკოპოსი მიტროფანე და ნეოკესარიის ეპისკოპოსი სტილიანე, რომლებიც ოპოზიციას ედგნენ სათავეში), ფოტიოსის პირველივე მოქმედების გამო უკმაყოფილება გამოხატა, არჩევნები გაუქმებულად გამოაცხდა და ერთადერთ კანონიერ პატრიარქად ეგნატე დაასახელა. ოპოზიციური შეხლა-შემოხლა კი უფრო მეტად ახანგრძლივებდა ეგნატეს ტყვეობის პერიოდს, რომელიც ხელისუფლებას ამ დროისთვის მეტელენში ჰყავდა გამოკეტილი. მღელვარების ჩასახშობად, ფოტიოსმა წმიდა მოციქულთა ეკლესიაში სინოდი შეკრიბა, რომელშიც ას სამოცდაათი ეპისკოპოსი მონაწილეობდა: რადგან ეგნატეს პატრიარქად არჩევა საარჩევნო წესების დარღვევით, ფორმალურად მოხდა, სინოდმა ეს უკანონოდ სცნო და იგი, თავისი პარტიის მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად, გადააყენა. დედაქალაქისა და მისი შემოგარენის სამონასტრო გარემო გაიყო: სტუდიის მონასტერი, როგორც მოსალოდნელი იყო, „შემოჭრილის“ წინააღმდეგ წავიდა, რის გამოც აბატი ნიკოლოზ კრეტელი, თავდაპირველად ბითინიაში, შემდეგ კი ხერსონესში გადაასახლეს; ოლიმპოს მონასტრები, როგორც ხატმებრძოლეობის პერიოდში, არ მიემხრენ სტუდიის მონასტერს. მრავალი მათგანი ფოტიოსის ერთგული დარჩა; უკვე ცხადზე ცხადი იყო ბიზანტიის ეკლესიაში აღმოცენებული სქიზმა.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია ფლორენციაში

იტალიელების საჩუქარი ქართველ მართლმადიდებელებს

ზოგჯერ დღეები სწრაფად გარბის, ერთმანეთს ენაცვლება და კვალს არ ტოვებს; ზოგიერთი დღე კი მნიშვნელოვან ეტაპს აღნიშნავს და ღრმა კვალს ტოვებს ცნობიერებაში. ერთ-ერთი ასეთი დღე იყო 2011 წლის 29 მაისი, კვირა. მოწმენდილი ცა და „აფრიკული“ ჰაერი. ფლორენციაში, სერალის ქუჩაზე დილიდანვე ფუსფუსებენ ადამიანები. არნოს და პორტა რომანას შორის მდებარე გზაზე ავტომანქანები გაჭირვებით მოძრაობენ, ისე რომ ზოგი მძღოლი მოთმინებასაც კარგავს. ამ ქუჩაზე მდებარე ეკლესია ძლივს იტევს სტუმრებს. ნაცრისფერი მერსედესიდან სასულიერო პირი გადმოდის მოზეიმე გამომეტყველებით, ქალები მას გზას უთმობენ, ორი გრძელწვერიანი მღვდელი კი შესასვლელთან ელოდება. შიგნით აუტანელი სიცხეა. დღეს ამ უძველესი ტაძრის ახლად კურთხევა ხდება, ის საბოლოოდ ტოვებს რომაული წესის კათოლიკობას ქართული მართლმადიდებლობის სანაცვლოდ. ტაძარი, რომელიც ეპარქიის ეკუმენური მოღვაწეობის დასტურად, ფლორენციის კურიისაგან უსასყიდლოდ გადაეცა ქართულ თემს, წმინდა ელისაბედის სახელობისა იყო, დღეიდან ის წმინდა ნინოს ეკლესიად იწოდება და მისი სახელობის პირველი ეკლესია იქნება იტალიაში. წმინდა ნინო მეოთხე საუკუნეში მოღვაწე კაბადოკიელი გოგონა იყო, რომელმაც ქრისტიანობა გაავრცელა საქართველოში, სადაც, გადმოცემის თანახმად, ანდრია მოციქულსაც უქადაგია. ასე გახდა ეს უძველესი ერი 327 წელს, რომის იმპერიაზე ადრე,

ექვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

1. რამდენი სახის ლოცვა არსებობს?

რა არის ლოცვა? კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმოში დამოწმებულია წმიდა იოანე დამასკელის სიტყვები: „ლოცვა არის ღმრთისაკენ გონებისა და გულის ამაღლება, ან ღმრთისაგან სიკეთეთა თხოვნა“ (1559). არაერთი სასულიერო მწერალი ლოცვას მიიჩნევს ღმერთთან საუბრად ან უფალთან თანაზიარებად.

კათოლიკური სარწმუნოება, ტრადიციულად, ლოცვის ოთხ სახეობას გამოყოფს: თაყვანისცემას, თხოვნას, სინანულსა და მადლიერებას.

ლოცვის პირველი და ყველაზე გავრცელებული სახეობაა თაყვანისცემა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განდიდებაა ღმრთისა ოდენ იმის გამო, რომ იგი ღმერთია, — უმაღლესი არსება და შემოქმედი, მხსნელი და სამყაროს წმიდამყოფელი. რელიგიური გრძნობა განაპირობებს სურვილს, რომ მიწიერი, მოკვდავი არსებანი ეთაყვანებოდნენ ღმრთაებრივს. თაყვანისცემა არაა მიჯაჭვული რამე თხოვნასთან, ის არაა არც ხელშეკრულება, არც მოვალეობა, არც გარიგება. „თუ შენ მომცემ ამას, მაშინ მე...“ — ამგვარი დაპირება არაა თაყვანისცემის ლოცვა. ანგელოზები ღმერთს გამუდმებით მიაგებენ თაყვანს. წმიდა თომა აკვინელი (XIII ს.) ამბობს, რომ ანგელოზთა ცხრა გუნდს შორის უმაღლესია სერაფიმები, რომელთა ერთადერთი დანიშნულებაა მსახურება ღმრთისა განუწყვეტელი თაყვანისცემის სახით.

„ითხოვდეთ და მოგეცემათ“, თქვა იესომ სახარებაში (მათე 7:7). შემწეობის თხოვნა იმგვარი ლოცვაა, რომელიც ითხოვს ღმრთაებრივ დახმარებას. ჩვენ არამარტო სითამამე გვყოფნის, რათა ვითხოვოთ, — იესომ მოგვიწოდა, ვიყოთ თან მომთმენნი და თან დაჟინებულნი. მას არასოდეს მოუცია დაპირება, თუ როდის და როგორ გაეცემა პასუხი ჩვენს თხოვნას, ჩვენს ლოცვას, — იგი მხოლოდ იმას დაგვპირდა, რომ პასუხი უეჭველად იქნება გაცემული.

შუამდგომლობა ერთ-ერთი რაგვარობაა თხოვნის ლოცვისა, რომლითაც ღმერთთან ვშუამდგომლობთ. ამ ლოცვის დროს ჩვენ ვითხოვთ დახმარებას არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვათათვის. ერთმანეთისათვის ლოცვა მეტად ქრისტიანული საქმეა, რომლის გაკეთებაც შეჰფერის ქრისტიანს.

სინანული მონანიების ლოცვაა. სინანულია, როცა ცოდვილი ადამიანი მოიქცევა გულით (რასაც ბერძნულად „მეტანოია“ ეწოდება) და ნანობს ჩადენილ ცოდვას. სრულყოფილი სინანული არის დანანება ოდენ ცოდვის გამო, რადგან პიროვნება განიცდის იმას, რომ მან უგულებელყო ყველა სიკეთე და შეურაცხყოფა მიაყენა მოყვარულ ღმერთს. არასრული სინანული კი არის დანანება, რომელიც განპირობებულია სასჯელის შიშით. მართალია, ეს არაა ყველაზე უმჯობესი ბიძგი, მაგრამ ჯოჯოხეთის შიში მაინც საკმარისია იმისათვის, რათა ადამიანს ჩადენილი ცოდვა მიეტევოს, მაგრამ უფრო ღირსეული იქნებოდა, იგი მხოლოდ იმას ნანობდეს, რომ თავისი ქმედებით მან შეურცხყო ღმერთი.

▶ 12 ბ.

◀ *11 33.* მადლიერების ლოცვა ისეთი ლოცვაა, რომელიც გამოხატავს მადლობას იმ წყალობათათვის, რაც ღმერთმა მოგვანიჭა. ეს არის სულიერი გზა უფლისათვის მადლობის მისაგებად, რისკენაც გვიბიძგებს არა მარტო ზრდილობა თუ თავაზიანობა, არამედ — სამართლიანობა. ყველაზე უკეთ მადლიერების ლოცვა წმიდა წირვაში გამოვლინდება. ბერძნულად მადლიერების გამოხატვა „ევქარისტიაა“, — სიტყვა, რომელიც გამოიყენება ეკლესიის მიერ, რათა აღინიშნოს ნაკურთხი ჰოსტიის მიღება (ევქარისტია). ევქარისტიისას ეკლესიაში შეკრებილი ხალხი გამოხატავს მადლიერებას, რაკი მას შეუძლია ეზიაროს ქრისტეს ხორცსა და სისხლს.

ამასთანავე, არსებობს ლოცვის სამი გზა: სიტყვიერი (სპონტანური ან ფორმალური; პირადი ან ლიტურგიული), განაზრებითი (მენტალური) და მჭვრეტელობითი (მისტიკური).

ყოველი ლოცვა, რომელსაც ადამიანი ან წარმოთქვამს, ან იმეორებს დამახსოვრებულის მიხედვით, ან თავისთვის ამბობს (თუნდაც სიარულისას ანდა საქმიანობისას), სიტყვიერი ლოცვაა. ეს ლოცვა, შესაძლოა, იყოს ან ჩუმი ჩურჩული, ან ხმამაღალი განცხადება, ან, კიდევ, გამოთქმის რამენაირი სხვა საშუალება; შესაძლოა, მას ჰქონდეს მეტყველების ან სიმღერის სახე. ის იქნება ფორმალური, თუ ვინმემ უკვე მანამდე შექმნა; სპონტანურია, თუკი მას იმ წუთას ქმნის მლოცველი. პირადი ლოცვა მარტოობაში წარმოითქმება, ხოლო ლიტურგიული ლოცვა საჯაროობას მოითხოვს. იესომ თქვა: „სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორის“ (მათე 18:20). ლიტურგიული ლოცვა ეკლესიის ლოცვაა („ლიტურგია“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ლეიტურგია“, რაც საერთო თაყვანისცემას ნიშნავს). წმიდა წირვა ლიტურგიული ლოცვის უმაღლესი და ყველაზე საზეიმო სახეა.

განაზრებითი ანუ მენტალური ლოცვა, ანუ მედიტაცია ემსახურება იმას, რათა გონება წარიმართოს სარწმუნოების ჭეშმარიტებათა მიმართ, ანდა რათა წარმოსახვის საშუალებით მოხერხდეს საკუთარი თავის წარმოდგენა ხსნის ისტორიის რომელიმე გარკვეულ მომენტში — მაგალითად, პურითა და თევზით მრავალთა დაპურებისას ან იესოს ჯვარცმისას გოლგოთის მთაზე. მეხსიერებისა და წარმოსახვის გამოყენება მრავალ ადამიანს დიდად ეხმარება ლოცვისას. ქრისტიანული მედიტაცია არ აღესრულება უმოძრაო, გაქვავებული ჯდომისას, ბუტბუტისას ან ღიღინისას. ის არაა მიმართული საკუთარი თავის ან რომელიმე აბსტრაქტული ცნების მიმართ. ესაა იმგვარი ურთიერთობა ღმერთთან, როცა ჩვენი ცნობიერება იმყოფება ღმრთის თანამყოფობაში და როცა გავიაზრებთ უფლის თვისებებს (მოწყალე, მოყვარული, მომტევებელი, მომთმენი, სამართლიანი და ა. შ.).

მჭვრეტელობითი ლოცვა, ანუ მედიტაცია, ლოცვის ყველა განწმედილი სახეობაა, რომლის დროსაც საშუალებას ვაძლევთ ღმერთს, თავად იმეტყველოს. იგი გველაპარაკება ჩვენ, გული — გულს, მჭვრეტელობით ლოცვაში. ლოცვის ამგვარი მისტიკური უნარის მიღწევას შესაძლოა მთელი სიცოცხლე დასჭირდეს, რათა ის, როგორც ღმრთის მადლი, მოვიპოვოთ. ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ, იძულებით ან შელოცვით მივაღწიოთ მჭვრეტელობას. ის ჩვენ მოგვეცემა როგორც სული წმიდის ნიჭი, რომელიც თავად წყვეტს, ვის, როდის და როგორ მიანიჭოს ეს უნარი.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

სომხეთის შემდეგ მეორე ქრისტიანული სახელმწიფო მსოფლიოში. ამ ეკლესიას ყოველთვის სწყუროდა ავტოკეფალია.

მობრძანებული სასულიერო პირი, სრულიად დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამ გარმელია, მამა ანდრია ლაცაბიძესთან (რომელიც იანვარში ჩამოვიდა ფლორენციაში, რათა წარუძღვეს საკრებულოს) ერთად, ხსნის ლიტურგიას. ცერემონია გრძელი და შთამბეჭდავია, მთლიანად ქართულ ენაზე; ენა კავკასიური ენების ჯგუფს მიეკუთვნება, იმდენად ძველია, რომ შეიცავს ყველა ანტიკური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბგერებს. იკმევა საკმეველი, რომლის სურნელითაც გაჟღენთილია ჰაერი, თავსაფრიანი მანდილოსნები რიტმულ მელოდიებზე გალობენ, კაცები ბანს აძლევენ მათ. წირვას, კეთილგანწყობილი ღიმილით, თვალს ადევნებს ფლორენციის კათედრალის დიაკონი, მამა ალესანდრო ბიკი, კურიის ეკუმენური კომისიის წევრი და ქართულ საკრებულოსთან ურთიერთობის დიდი არქიტექტორი. მის ღვაწლს ყველა აღიარებს.

ცერემონია თითქმის ოთხი საათის შემდეგ სრულდება, მას შემდეგ, როდესაც მამა აბრაამი აღმართავს ჯვარცმას და მიმართავს მას მორწმუნეებისკენ, რასაც თან ახლავს კურთხევა მართლმადიდებლური წესით. იტალიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული ქართველობა აშკარად აღელვებული და ბედნიერია. დღესასწაული გრძელდება საზეიმო სადილით ბორგეზეს სასახლეში — დაუსრულებელი სადღეგრძელოები, ემოციური გამონათქვამები, სიცილი... შემდეგ კი გრძელდება თეატრში, პიზანას ქუჩაზე, ცეკვებითა და სიმღერებით. 29 მაისი დიდი დღეა ქართული თემისათვის და ჩვენი ქალაქისთვისაც, მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ხალხების ურთიერთობებში. ეს საშუალებაა სხვადასხვა კულტურების დაახლოებისა, რომ მარტოდ არ იგრძნონ თავი შორიდან მოსულმა ამ „ახალმა“ ფლორენციელებმა.

იტალიურიდან თარგმნა
ბესიკ ანდრიაძემ

ნომრის სტუმარი

შალვა მოსეშვილი

ვაგრძელებთ რუბრიკას — ნომრის სტუმარი. ამჯერად მკითხველებს გავაცნობთ ბატონ შალვა მოსეშვილს. ბ-ნი შალვა ქ. ვალეს ღირსეული მოქალაქეა. იგი მედიცინის მუშაკია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ოცდახუთი სამეცნიერო შრომის ავტორი. 55 წელია, რაც ერთგულად და მაღალპროფესიულ დონეზე ემსახურება პაციენტებს.

მედიცინის გარდა, იგი ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურის სფეროშიც. ბ-ნი შალვა ათი პოეტური და ორი პროზაული კრებულის ავტორია. იგი მალე 80 წლის იუბილეს იზეიმებს.

ჩემს თხოვნაზე, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა, სიამოვნებით დამთანხმდა.

თამრიკო ჩიტაშვილი

ბატონო შალვა, გთხოვთ, მოგვითხროთ თქვენი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი ცხოვრების შესახებ.

დავიბადე 1931 წლის 2 აგვისტოს, ახალციხის რაიონის სოფ. ვალეში. შვიდი წლის ასაკში სწავლა დავიწყე ვალეს საშუალო სკოლაში, მაგრამ როდესაც მე-9 კლასში გადავედი, ვალეში სკოლა დაიხურა და თბილისის ვაჟთა VII საშუალო სკოლაში განვაგრძე სწავლა. ომის შემდგომი პერიოდი იყო, ცხოვრება ძალიან გვიჭირდა, პროდუქტებს ვალედან ვეზიდებოდით. მე-11 კლასიდან სწავლა ახალციხის №1 საშუალო სკოლაში განვაგრძე; 1950 წელს სკოლა დავამთავრე ვერცხლის მედალზე. იმავე წელს, როგორც მედალოსანი მოსწავლე, უგამოცდოდ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს ახალციხის რაიონის სოფ. წყრუთის სამედიცინო ამბულატორიის გამგედ დამნიშნეს, სადაც ოთხი წელი ვიმუშავე. შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, კლინიკურ ორდინატურაში, თერაპიის სპეციალობით.

ორდინატურის დამთავრების შემდეგ, 1958-1960 წლებში დავბრუნდი ვალეში და მუშაობა დავიწყე ჯერ №III, ხოლო შემდგომ №IV და V შახტის ჯანმრთელობის პუნქტის გამგედ.

1960 წლიდან გადავედი ვალეს საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების გამგედ. 1972 წლიდან კი ახალციხეში სანეპიდ სადგურის მთავარ ექიმად ვმუშაობდი, მერე კი ახალციხის პოლიკლინიკის გამგედ. ამის შემდეგ გადამიყვანეს ახალციხის რაიონული ცენტრის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში.

1974 წლიდან ვარ ვალეს ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს სამედიცინო ნაწილის მთავარი ექიმი. შემდეგ, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, ხსენებული სამედიცინო ნაწილი გადაკეთდა ახალციხის მე-2 რაიონულ საავადმყოფოდ, რომლის მთავარი ექიმიც მე გახლდით.

სამედიცინო პრაქტიკასთან ერთად, მუშაობას ვაგრძელებდი სამეცნიერო განხრითაც. კერძოდ, 1952 წელს გამოქვეყნდა ჩემი მეცნიერული ნაშრომი — „ნაწლავების გაღიზიანების გავლენა კუჭის სეკრეციულ მოქმედებაზე“.

1971 წლის 3 მაისს დავიცავი სამეცნიერო დისერტაცია და მომენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომელიც იმავე წელს დაამტკიცა მოსკოვმა.

ბოლო ერთი წელია, რაც ვმუშაობ ვალეს პოლიკლინიკაში ექიმ-თერაპევტად.

ბატონო შალვა, ცნობილია, რომ თქვენ, მედიცინის მუშაკის გარდა, პოეტიც ბრძანდებით, ხართ რამდენიმე კრებულის ავტორი...

პოეზიით ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული, პირველი ლექსი მე-6 კლასში დავწერე, რომელიც 1958 წელს ახალციხის რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა. როდესაც თბილისში გადავედი სასწავლებლად, ჩემში ლექსის წერის სურვილი უფრო გააღრმავა ლიტერატურის მასწავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა.

შემდეგ დიდი ხნით მივატოვე ლექსების წერა. ამჟამად ათი პოეტური და ორი პროზაული კრებულის ავტორი გახლავართ.

რას ფიქრობთ სარწმუნოებაზე, კერძოდ კათოლიკობაზე?

მე კათოლიკეთა ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობაში დედას ეკლესიაში დავყავდი სადღესასწაულო წმ. წირვებზე და მეც მასთან ერთად ვლოცულობდი. შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა სულ დამაშორა ეკლესიას.

ვფიქრობ, ქრისტიანობის უდიდესი ძალა იმაშია, რომ მორწმუნეს პატიოსნებისკენ მოუწოდებს. მთავარია, ქრისტიანის სიტყვა და საქმე ერთი იყოს.

რას თვლით საჭიროდ ქრისტიანთა ერთიანობისათვის?

ღმერთი ერთია და არ შეიძლება, რომ ქრისტიანთა შორის განხეთქილება არსებობდეს. ადამიანი, რა აღმსარებლობისაც არ უნდა იყოს იგი, ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს. ეკლესიის ერთიანობისათვის კი საჭიროა, რომ მისი მესვეურნი გაერთიანდნენ.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

ნეტარი იოანე პავლე მეორე, მეფეებს ეწივა და დაიფარა საქართველო

2011 წლის 15 ივნისს, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში ჩატარდა რომის პაპის, იოანე პავლე მეორეს ნეტარად კურთხევასთან დაკავშირებული მედიტაცია წმიდა მამის სიტყვებზე, რომელიც მან საქართველოში 1999 წლის ვიზიტის დროს წარმოთქვა.

მედიტაციას ესწრებოდა წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი; ამიერკავკასიის რომაული წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; მონსინიორ ფილიპო ჩამპანელი, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლები და სხვადასხვა კონგრეგაციის მონაზვნები, ასევე მრევლის წევრები.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, რომელმაც გაიხსენა საქართველოში წმიდა მამის ვიზიტის მნიშვნელოვანი მომენტები.

მედიტაციის დროს, ერთმანეთს ცვლიდა სავიოლინო მუსიკის სასიამოვნო ჰანგები და ფრაგმენტები იოანე პავლე მეორეს მიერ საქართველოში წარმოთქმული სიტყვებიდან, რომელსაც აუღელვებლად ვერ მოისმენდი. „პირველად ვიმყოფები საქართველოს მიწა-წყალზე და ღრმა მღელვარება მიპყრობს ამ მიწა-წყალზე ქრისტიანობის ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიის წინაშე, რომელიც დასაბამს იღებს IV საუკუნის დასაწყისში წმიდა ნინოს ქადაგებიდან და V საუკუნის მიწურულს ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში. ამ ეპოქიდან მოყოლებული, ქრისტიანობა იქცა იმ თესლად, საიდანაც აღმოცენდა და გაიფურჩქნა ქართული კულტურა... არაერთგზის აუოხრებიათ დამპყრობლებს საქართველო, მაგრამ ქართველმა ერმა შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ერთიანობა... ისტორიის მძაფრ ქარტეხილებში საქართველოს ყველაზე დიდი გადამრჩენელი იესო ქრისტესადმი მისი რწმენა იყო“.

ვილოცოთ, რათა ქართველებში ეს რწმენა უფრო გაღრმავდეს, რაც საქართველოს უკეთესი მომავლის უეჭველი საწინდარი იქნება.

მედიტაციის შემდეგ, აღევლინა წმიდა წირვა. დასასრულს, ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა წიგნი — „ეძღვნება რომის პაპს იოანე პავლე მეორეს“, რომელიც გამოიცა მისი აღსაყდრების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით.

პაპისადმი მიძღვნილი დღე კი დასრულდა საღამოს, „ქორთიარდ მერიოტში“, სადაც მიბრძანდნენ სასულიერო პირები, მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ნეტარო იოანე პავლე მეორე, ილოცე ჩვენთვის!

(სურ. იხ. ჟურნალის გარეკანის წინა ყდაზე)

მოამზადა

ციცინო ხითარიშვილმა

ჩვენი უმდიდრესი საუნჯე

რამდენიმე წლის წინ, ამიერკავკასიაში, წმინდა საყდრის სადესპანოს ინიციატივითა და მატერიალური მხარდაჭერით, და საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება – ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ახალ ქართულ ენაზე გადმოღება. პროექტის ორგანიზატორი გახლდათ თეოლოგი ლევან აბაშიძე, უშუალოდ პროექტის განმხორციელებლები კი — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

სამიოდე წლის წინ, თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, სამ ტომად გამოიცა ახალ ქართულზე გადმოღებული უძველესი ჰაგიოგრაფიული ტექსტები და მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა. ფილოლოგთა მტკიცების მიუხედავად, თითქოს ძველსა და ახალ ქართულს შორის განსხვავება უმნიშვნელოაო, ახალგაზრდებს, რომლებსაც უხდებათ ძველი ტექსტების გამოყენება, მათი განმარტების დროს საკმაო პრობლემები ექმნებათ. ვატიკანის საელჩოს პროექტი კი ყველა დაინტერესებულ ადამიანს აძლევს საშუალებას, თავისუფლად წაიკითხოს ეს უძველესი ტექსტები.

მიმდინარე წელს პროექტი საბოლოოდ დასრულდა, ვატიკანის საელჩომ იზრუნა სამტომეული ტექსტების ერთ წიგნად გამოცემაზე. აღსანიშნავია, რომ წიგნში, ახალი ქართული ტექსტის პარალელურად, ორიგინალური ტექსტიც არის დაბეჭდილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, სრული წარმოდგენა შეიქმნას უძველეს ქართულ მწერლობაზე.

პროექტის ხელმძღვანელებმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ერთი მეტად სასიკეთო საქმეც გააკეთეს: ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის ერთტომეული საჩუქრად გადაეცემა საქართველოს ყველა საჯარო სკოლას, რათა მოსწავლეებსა და პედაგოგებს საშუალება მიეცეთ, მათთვის ადვილად გასაგებ, თანამედროვე ენაზე წაიკითხონ ეროვნული ლიტერატურის საგანძური. ოღონდ გასათვალისწინებელია ერთი რეალური, შემაფერხებელი ფაქტორიც, დიდი აღბათობა არსებობს, რომ ამ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულმა ძვირფასმა წიგნმა შესაძლოა სკოლის დირექტორების კაბინეტის თაროზე დაიდოს მყუდრო ბინა.

7 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შედგა ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კრებულის პრეზენტაცია. საქართველოს განათლების მინისტრმა, ბ-ნმა დიმიტრი შაშკინმა ვატიკანის ელჩს, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუ-

▶ 15 გვ.

◀ 14 გვ.

ჯეროტის მადლობა გადაუხადა ამ მეტად ფასეული საჩუქრისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ახალ ქართულ ენაზე შესრულებული ეს გამოცემა დიდ როლს იქონიებს მომავალი თაობის მიერ ქართული სიძველეების გაცნობასა და შესწავლაში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს მღვდელმთავრები, სხვა რელიგიებისა და კონფესიების სასულიერო პირები, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე მუსიკალური ნომრები შეასრულეს ზაქარია ფალიაშვილის სახ. მუსიკალური სასწავლებლის მსმენელებმა.

„წმინდა საყდრის სადესპანო საქართველოში მოხარულია, ქართველ ხალხს წარუდგინოს წინამდებარე გამოცემა, რომლის მიზანია, წარმოაჩინოს ქართული სულიერი მემკვიდრეობა და მის საუნჯეს აზიაროს ის მკითხველიც, რომელსაც უჭირს უშუალოდ ორიგინალური ტექსტების წაკითხვა. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მის უწმინდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ს ამ ნაშრომის კურთხევისათვის. დიდ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს ჩვენდამი აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის.

კრებულის გამოცემა ავტორთა ჯგუფის ორწლიანი მუშაობის ნაყოფია. ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, ქართულენოვანი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა იოლად გასაგები ფორმით. მართალია, ქართველ მკითხველს, ძველი ქართული ენის სპეციალური შესწავლის გარეშე, ნაწილობრივ ესმის ძველი ქართული ტექსტების შინაარსი, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, არასრულყოფილად და მცდარად, რადგან ზოგიერთმა სიტყვამ და გამოთქმამ საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელობა შეიცვალა.

ახალ ქართულ ენაზე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის თარგმნა სრულიად არ გულიხმობს ორიგინალური ტექსტისგან მკითხველის დაშორებას. პირიქით, ჩვენი ღრმა რწმენით, თარგმანი ორიგინალთან გაცნობის სურვილს გაუძლიერებს მკითხველს. ამიტომაც, კრებული, თარგმანთან ერთად, ორიგინალურ ტექსტებსაც მოიცავს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე წიგნი მკითხველს დაეხმარება, უკეთ გაეცნოს ჩვენს უმდიდრეს საუნჯეს-ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას“, — განაცხადა თავის სიტყვაში მისმა ყოვლადმაღალუსამღვდელოესობამ, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ.

P.S. მართლაც დიდი და ფასდაუდებელი საჩუქარი გაუკეთა ვატიკანის საელჩომ ქართველ ერს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ახალ ქართულ ენაზე გამოცემით. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პროექტი კვლავაც გაგრძელდება და, ჰაგიოგრაფიასთან ერთად, ახალ ქართულზე ძველ ისტორიულ წყაროებსაც აამეტყველებენ.

ლამაზი დღე ბათუმში

დადგა ზაფხული, შვებულებების დრო. მორწმუნე კათოლიკესთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სად დაისვენებს, ანუ ექნება თუ არა მას საშუალება ყოველკვირეულ წირვა-ლოცვებზე დასწრებისა. ამ მხრივ, ბათუმი შესანიშნავი ადგილია. ბოლო წლებში ესოდენ დამშვენებულ ზღვისპირა ქალაქს კიდევ უფრო დიდ ხიბლს მატებს სანაპიროზე აგებული კათოლიკური ტაძარი, სადაც ყოველ კვირას აღევლინება წმინდა წირვები. აჭარაში მივლინებით თუ დასვენების მიზნით ჩასულს, ყოველთვის მაქვს იმედი და საშუალება საკვირაო მსახურებაზე დასწრებისა. ახლაც, ივნისის თვეში ბათუმში მივლინებით ჩასულს, ბედნიერება მქონდა, დავსწრებოდი საკვირაო წირვას.

ბათუმის ტაძრის წინამძღვარი მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მიუხედავად მოუცლელობისა, მაინც ხშირად ახერხებს, მრევლის წევრები კულტურული საღამოებით გაანებივროს და ხელოვნებას აზიაროს. ტაძრის სხდომათა დარბაზში იშვიათობას არ წარმოადგენს არც სამეცნიერო-თეოლოგიური შეხვედრები, და არც კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. ამჯერადაც ასე იყო. 5 ივნისს, საკვირაო მსახურების შემდეგ, ყველა მსურველს საშუალება მოგვეცა, ბათუმელი პოეტისა და საავტორო სიმღერების შემსრულებლის, ქ-ნ ირმა გოგუაძისათვის მოგვესმინა. შემსრულებელი ქართულ, რუსულ და გერმანულენოვან რელიგიურ ტექსტებზე შექმნილი სიმღერებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. გულში ჩამწვდომი ლირიზმით შესრულებულმა საავტორო სიმღერებმა არც ერთი მსმენელი არ დატოვა გულგრილი. ირმა გოგუაძე წლების მანძილზე გერმანიაში მოღვაწეობდა, ამჟამად იგი თბილისში ცხოვრობს და მშობლიურ ქალაქს თავადაც სტუმრის ამპლუაში ეწვია. მ. გაბრიელეს მოწვევაც სიხარულით მიიღო და, როგორც თავად აღნიშნა, პირველად მოინახულა კათოლიკური ტაძარი და მოხიბლული დარჩა აქაური სულიერებით. „ყოველთვის დიდი სიხარულით მივიღებ თქვენს მოპატიჟებას“, — განაცხადა დასასრულს ქ-ნმა ირმამ. ამ არაჩვეულებრივი დღის სამახსოროდ კი მ. გაბრიელეს საკუთარი ლექსების წიგნი უსახსოვრა.

მსგავსი შეხვედრები, გარდა იმისა რომ მრევლის წევრთა სულიერებაზე ზრუნვაცაა, საკრებულოს შეკავშირებასაც ემსახურება, ასევე, კათოლიკე ეკლესიის პოპულარიზაციის მისიაც აკისრია. მრავალ ხელოვან ადამიანს, რომელსაც სურს, თავისი რელიგიური თემატიკის შემოქმედება წარმოუდგინოს ადამიანებს, ხშირად არ აქვს ამისი საშუალება. ბათუმის კათოლიკური ეკლესიის კულტურის ცენტრი ღიაა ყველა აღმსარებლობის ქრისტიანი ხელოვანისათვის, რომელთაც სურთ, საკუთარი შემოქმედებით ემსახურონ შემოქმედს.

ირმა გოგუაძის შემოქმედებითი საღამო, ვფიქრობ, არ დაავიწყდებათ მის მონაწილეებს, ბათუმელებს ხომ, ფაქტობრივად, პირველად მიეცათ საშუალება, ასე უშუალო გარემოში მოესმინათ და ესაუბრათ ირმა გოგუაძესთან; აღვნიშნავ, რომ იგი რუსული რომანსების საკმაოდ აღიარებული შემსრულებელია, ბათუმის სტუმრებს კი, მ. გაბრიელეს მონდომებით, კიდევ ერთი ლამაზი და გაუხუნარი მოგონება დაგვრჩა.

ვფიქრობ, მრავალმხრივ სასარგებლო იქნება, თუ მსგავსი ხასიათის შეხვედრებს სხვა საკრებულოების წინამძღვრებიც რაღაც პერიოდულობით ჩაატარებენ. მოგებული კი ყველა მხარე დარჩება.

მოამზადა ნუგზარ ბარდაველიძემ

ბიოეთიკის თანამედროვე გამოწვევები

მსოფლიო საზოგადოებრიობა სულ უფრო და უფრო ცხოველ ინტერესს ამჟღავნებს ბიოეთიკისადმი. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც იგრძნობა დიდი დაინტერესება ამ მეცნიერების მიმართ, რასაც მოწმობს ბოლო წლებში ჩატარებული კონფერენციები და სიმპოზიუმები. ბიოეთიკის პრობლემების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს ეკლესიაც, რისი დასტურია საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოში რომაული წესის კათოლიკეთა ეკლესიის მიერ ორიოდე თვის წინ ჩატარებული ერთობლივი კონფერენცია, რამაც დიდი დაინტერესება და გამოხმაურება გამოიწვია.

ამჟამად საქართველოს, მამა პიერ დიუმულენის მოწვევით, სტუმრობდა ქალბატონი **მარი ოდილ რეთორრე**, მედიცინის პროფესორი, საფრანგეთის მედიცინის ეროვნული აკადემიის, პაპის მეცნიერებათა აკადემიის — სიცოცხლისათვის — წევრი; ჟერომ ლეჟენის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი მედიცინის დარგში INSERM-ის (ჯანმრთელობისა და სამედიცინო კვლევების ეროვნული ინსტიტუტი) მეცნიერული კვლევების ხელმძღვანელი, საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი.

ქალბატონმა მარი ოდილ რეთორრემ რამდენიმე ლექცია წაიკითხა ბიოეთიკის იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც მწვავედ დგას დღევანდელი საზოგადოების წინაშე. თბილისში ჩატარდა ორი კონფერენცია: 10 ივნისს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში და 14 ივნისს, საქართველოს საპატრიარქოსა და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, თემაზე — „თანდაყოლილ დაავადებათა ბიოეთიკური ასპექტები“; შუალედში კი — ბათუმსა და ქუთაისში. საქართველოს ამ ქალაქებში ჩატარებულმა კონფერენციებმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია და წარმატებით ჩაიარა.

10 **ივნისს**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში გაიმართა პირველი კონფერენცია თემაზე: „**ბიოეთიკის თანამედროვე გამოწვევები**“.

ქალბატონმა მარი ოდილმა კონფერენციის მონაწილენი მოხიბლა თავისი ენერგიული ხასიათითა და საინტერესო ლექციით: „დღეს, როდესაც სახეზეა მეცნიერული პროგრესი, კერძოდ, სამედიცინო დარგში, შეგვიძლია მოვძებნოთ ბალანსი საზოგადოების მოთხოვნასა და სამედიცინო მიღწევებს შორის.

მაგრამ კითხვა უნდა დავუსვათ საკუთარ თავს, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სამეცნიერო პროგრესმა? კლონირებამდე, ბავშვის ლაბორატორიაში შექმნამდე? რაც ქრისტიანებისათვის მიუღებელია...

როდესაც, სამედიცინო კონსულტაციის დროს, ხელში მიჭირავს გენეტიკურად დაავადებული ბავშვი, ვფიქრობ, რომ ხელში მყავს ღვთის შვილი, ქრისტეს ძმა, რადგანაც „როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ“ (მათ. 25, 45). ღვთის შვილის ხელში დაჭერა კი უმნიშვნელო რამ არ არის...

ის რომ ადამიანის ხელშია ჩასახვის, დედის მუცლად მყოფი ნაყოფის გენეტიკური ავადმყოფობის დიაგნოსტიკა და ა. შ. ჩვენ, ექიმებს, გვაკისრებს ახალ ვალდებულებებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ემბრიონს ისეთივე ღირსებები გააჩნია, როგორც ადამიანს.

მედიცინის პროგრესი დიდ იმედსაც გვაძლევს და, ამავე დროს, შეშფოთების საგნადაც იქცევა; სადამდე შეიძლება წავიდეთ, როგორ წარვმართოთ ჩვენი კვლევები... ხომ არ სჯობს, ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული სამედიცინო წესები, რომელიც ხელს შეუწყობს მედიცინის წინსვლას და, ამავე დროს, დაცული იქნება ეთიკური ნორმებიც. ამ სფეროში ქრისტიანთა პასუხისმგებლობა უდიდესია. როგორც ნეტარმა იოანე პავლე მეორემ თქვა: ნუ გეშინიათ!

დღეს ცნობიერების, სინდისის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ეკუთვნის ეკლესიას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღმერთმა ჩვენ, ადამიანებს, მოგვანიჭა მარადიული სიცოცხლე. წმ. ბასილი დიდი წერს: ღმერთმა შექმნა ადამიანი, მაგრამ დაუტოვა ის ღირსება, რომ თავად გახდეს ღვთის მსგავსი.

ვისურვებდი, რომ ღმერთმა, ჩვენი ცხოვრების მინურულს, დაინახოს ის მსგავსება, რომელიც თავად მოგვანიჭა“.

14 **ივნისის** თემა იყო „თანდაყოლილ დაავადებათა ბიოეთიკური ასპექტები“.

კონფერენცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საპატრიარქოსა და ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა, ეროვნული მუზეუმის სხდომათა დარბაზში. მან დიდი გამოხმაურება გამოიწვია და დამსწრე საზოგადოებაც წარმომადგენლობითი იყო. ესწრებოდნენ საქართველოს საპატრიარქოსა და ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის სასულიერო პირები და ამ ეკლესიების მრევლის წევრები, საქართველოში ასირო-ქალდეური ეკლესიის მოძღვარი და მრევლის წარმომადგენლები, სომხური სამოციქულო ეკლესიის სასულიერო პირები, განათლების სამინისტროსა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები, სამედიცინო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორები და სტუდენტები, საქართველოში მყოფი უცხოეთის მოქალაქეები, საზოგადოების რიგითი წევრები.

კონფერენცია გახსნა წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორმა, საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **არქიმანდრიტმა ადამ ახალაძემ**: „ეს მეორე სამეცნიერო კონფერენციაა ბიოეთიკაში, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო აწყობს საქართველოში, ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციასთან ერთად.

მინდა გითხრათ, რომ ბიოეთიკური პრობლემატიკა თანდათან საზოგადოების უფრო ფართო ფენებს მოიცავს, რადგანაც ის არ არის ჩაკეტილი მეცნიერება, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ადამიანთან. მან შემოაბიჯა ყველა ჩვენთაგანის ოჯახში.

ბიოეთიკურ პრობლემებში არა მარტო მედიცინის მუშაკები, არამედ პოლიტიკოსებიც კარგად უნდა ერკვეოდნენ, რათა შეძლონ დასკვნების გაკეთება და შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოტანა.

დღევანდელი თემა მეტად აქტუალურია თითოეული ადამიანისათვის. პრობლემები ჩნდება არა მაშინ, როცა ავადმყოფი ბავშვი იბადება ოჯახში, არამედ ჩასახვისთანავე. კონფერენციის დღევანდელი თემა საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ პროცესის განვითარებას ჩასახვიდან სიცოცხლის ბოლომდე.

მადლობას მოვახსენებ დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორებს და დამსწრე საზოგადოებას. იმედია, თქვენი მეშვეობით ინფორმაცია ამ პრობლემისა და მისი თავიდან აცილების გზების შესახებ მრავალ ადამიანამდე მიაღწევს.

დიდი მადლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს და მუზეუმის მთელ პერსონალს.

მინდა, საზოგადოებას გავახსენო ციტოგენეტიკის მამამთავარი, ჟერომ ლეჟენი, რომელიც ქრისტეს მცნებებით ხელმძღვანელობდა. დღეს ბედნიერები ვართ, რომ არა მხოლოდ წიგნების ან ინტერნეტის მეშვეობით, არამედ ცოცხლად შევაბიჯებთ ჟერომ ლეჟერის სამყაროში, რომლის გვერდითაც 40 წლის მანძილზე მუშაობდა ქალბატონი მარი ოდილი“.

შემდეგ კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ბატონი **ნოდარ სურგულაძე**: „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ღირსო მამებო, დამსწრე საზოგადოებავ, მინდა, თანდაყოლილ დაავადებათა რამდენიმე ასპექტზე ვისაუბრო. საქართველოში თანდაყოლილი დაავადებებით ბევრი ბავშვი იბადება. განათლების სამინისტროში ხორციელდება ისეთი პროგრამები, რომლებიც ასეთ ბავშვებზეა აქცენტირებული. მაგრამ პრობლემა არა ბავშვებში, არამედ საზოგადოებაშია, რომელიც ჯერ მზად არ არის, თვალი გაუსწოროს მსგავს პრობლემებს. სკოლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აღჭურვილი არაა სათანადო ინვენტარით. ვფიქრობ, საჭიროა ფსიქოლოგიური რევოლუცია, რომ მივუახლოვდეთ ევროპული ქვეყნების სტანდარტებს.

ბოლო 50 წელია, ბიოეთიკა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამის ერთ-ერთი დასტურია ეს სიმპოზიუმი, რომელმაც საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყრო უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის გამოხატავს მზაობას მსგავსი ინიციატივებისადმი“.

„მოგესალმებით, მიხარია, რომ საშუალება მომეცა, გამოვხატო ჩემი აზრი ასეთ საკითხებზე, — აღნიშნა წმიდა საყდრის დესპანმა ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსმა **კლავდიო გუჯეროტიმ**, — ქრისტეს მცნებებიდან გამომდინარე, ქრისტიანებმა გაერთიანებული ძალით უნდა გადავწყვიტოთ მსგავსი საკითხები. როცა საქმე ეხება ადამიანის პიროვნებას, აღარ არსებობს ეკლესიებს შორის განხეთქილება, არსებობს მხოლოდ ქრისტეს სახე, რომელიც იტანჯა ჩვენი ცოდვებისათვის.

ეს შეხვედრა ჩემთვის ბევრის მომცემია და ასევე დიდი პატივია პროფესორ მარი ოდილის ჩვენთან ყოფნა.

ვატიკანის სახელით, გამოვხატავ აღფრთოვანებას ამ პრობლემებისადმი თქვენი მზაობის მიმართ.

ასევე მსურს, მოკითხვა გადავცე უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს, რომელიც ამჟამად სამცხე-ჯავახეთში მასპინძლობს ყოველთა სომეხთა კათალიკოსს, მის უწმინდესობა გარეგინ II-ს“.

კონფერენციის მონაწილეებს ასევე მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორია**: „მე ძალიან მგრძნობიარე ვარ ამ თემის მიმართ, რადგანაც ბავშვთა ყბა-სახის ქირურგი გახლავართ და ჩემი 30-წლიანი საექიმო პრაქტიკა სწორედ თანდაყოლილ დაავადებებს მივუძღვენი. მინდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოში შემორჩა თანდაყოლილ დაავადებათა ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა: „კურდღლისტუჩა“, „მგლისხახა“. არაეთიკურია ცხოველთან ადამიანის შედარება. ეს ტერმინები ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს. კომუნისტურ საზოგადოებაში ასეთი ბავშვების ინტეგრირება ხდებოდა ცალკე ინტერნატებში, იმ მიზეზით, რომ სხვა ბავშვების დაცინვის საგანი არ გამხდარიყვნენ. ეს არასწორი მიდგომაა. დაბადებიდანვე უნდა ხდებოდეს ასეთი ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებაში, და არა მათი იზოლაცია. ასევე მსურს მოგახსენოთ, რომ დღეს საქართველოში ყველანაირი პირობა და საშუალებაა ასეთი ბავშვების რეაბილიტაციისათვის... ძალიან სასიხარულო ფაქტია, რომ ეკლესიები დაინტერესდნენ ბიოეთიკის საკითხებით“.

მამა პიერ დიუმულენმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ წარუდგინა ქალბატონი მარი ოდილი და შეახსენა, რომ ის ერთადერთი ქალბატონია საფრანგეთის ასკაციან მეცნიერებათა აკადემიაში; ქალბატონი მარი თანამედროვეობის მარი კიურია; ის პაპის ორი აკადემიის წევრია; სულ ახლახანს მან მიიღო საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო; 60 წელია, რაც ქალბატონი მარი გენეტიკის საკითხებზე მუშაობს.

მ. პიერმა ასევე მადლობა მოახსენა კონფერენციის ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას და საფრანგეთის ელჩს, რომელმაც, კონფერენციის დაწყების წინ, ბრიუსელიდან დარეკა და წარმატება უსურვა კონფერენციის მუშაობას.

ქალბატონმა **მარი ოდილმა** მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას... „ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი იყო, ვყოფილიყავი იმათი ხმა, ვისაც ლაპარაკი არ შეუძლია, — განაცხადა ქ-ნმა მარი ოდილმა, — ის აკადემიები, რომლებიც თქვენ ახსენეთ, დაინტერესებულნი არიან თანდაყილილ დაავადებათა პრობლემებით და, როცა თავიანთ წევრად მირჩევდნენ, იცოდნენ, რომ ჩემს უკან იდგა ათასობით უნარშეზღუდული ბავშვის ოჯახი...

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ჩვენსავით ქრისტეს შვილები არიან“.

მოხსენება ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელი იყო. ქალბატონმა მარი ოდილმა, მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით, ღრმად ჩაახედა კონფერენციის მონაწილენი ბიოეთიკის პრობლემატურ საკითხებში და მისი გადაჭრის გზებზეც მიუთითა.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

მოამზადა ციცინო ხითარიშვილმა

განცხადება

ძვირფასო მოძღვრებო და ოჯახებო!

2011 წ. 31 **აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით** კათოლიკური ეკლესიის საოჯახო პასტორალური კომისია გიწვევთ საზაფხულო კამპო-სკოლაში, ბათუმში, „იმედის სახლში“.

კამპოსკოლაში ოჯახებთან ერთად გატარებული დრო არის დრო ღრმა სულიერი ფორმაციისა, ფიზიკური ძალების აღდგენისა და ოჯახური სიმშვიდის მოპოვებისა. კამპოსკოლაში პიროვნული და ჯგუფური მუშაობა ფიქრის, ლოცვისა და აქტიური დასვენების საშუალებას გვაძლევს.

კამპოსკოლის წლევანდელი თემაა — „ქრისტიანული ოჯახის სილამაზე“

(ტობითის წიგნის მიხედვით).

კამპოსკოლის ანიმატორი მამა მაჩეი მამაი.

კამპოსკოლის დღის წესრიგი:

31 აგვისტო, ოთხშაბათი

დილით – ბათუმში ჩასვლა და ოთახებში განაწილება.

თემაში მონაწილეთა პრეზენტაცია. ინტელექტუალური თამაში; ერთმანეთის გაცნობა. მოხსენება თემაზე: რა როლი ეკისრებათ ოჯახის წევრებს (ფსიქოლოგი მამუკა გელაშვილი).

ბათუმის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

1 სექტემბერი, ხუთშაბათი

შეხვედრის თემა – „ქრისტიანული სწავლება და საღმრთო განგებულება“.

მისიონერი ოჯახის გამოცდილების გაზიარება წყვილებისა და ჯგუფის წევრთათვის.

მამა მაჩეი მამაის მიერ მომზადებული კითხვები.

2 სექტემბერი, პარასკევი

დაქორწინებული ქრისტიანი წყვილის ცხოვრება; ინერ-საქართველოს წარმომადგენელთა კონსულტაციები თემაზე: ოჯახის დაგეგმვა ბუნებრივი მეთოდით; ინერ-საქართველოს სერთიფიკატის მქონე წყვილების გამოცდილების გაზიარება; დისკუსია.

3 სექტემბერი, შაბათი

„ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის“ (მამა იეჟი).

ფილმი: „ასეთი სიყვარული მომწონს“.

4 სექტემბერი, კვირა

საზეიმო წმ. წირვა, საკითხავების მომზადება, გალობები, ლოცვები, ქადაგება; გამომგზავრება.

სასურველია, ყოველი საკრებულოდან ერთი წყვილი მაინც იყოს (უპირატესობა ენიჭებათ ახალგაზრდა წყვილებს, ან მათ, რომლებსაც ადრე მონაწილეობა არ მიუღიათ მსგავს შეხვედრებში).

გადასახდელი თანხა: წყვილი — 18 ლარი დღეში, მოზარდი — 5 ლარი დღეში, 3 წლამდე ასაკის ბავშვი — 4 ლარი დღეში.

ბავშვებს მოემსახურება „ბეიბი სიტერი“.

ყოველდღიურ წირვაში მონაწილეობა სავალდებულო არაა.

დასვენება სანაპიროზე საკუთარი ხარჯით.

მოგზაურობის ხარჯს ფარავს ადმინისტრაცია. მოძღვარი გაიღებს წყვილზე 20 ლარს.

გთხოვთ, თან იქონიოთ: ბიბლია, რვეული, კალამი, თეთრეული და პირსახოცი.

პატივისცემით, საოჯახო პასტორალური კომისია

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
საარქივო მასალები.....10
სხვა ქრისტიანული ეკლესიები.....11
კათოლიკური პასუხი 11
ინტერვიუ.....13
ინფორმაცია 14
ახალგაზრდული გვერდი.....19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011

განუსვენე მათ, უფალო!

სერგო აგულაძე
* 15. 01. 1932 – უდე
† 20. 03. 1011 წ. – უდე

ნოდარ კაკაჩიშვილი
* 01.07. 1957 წ. – ვალე
† 08. 06. 2011 წ. – ვალე

ნინა ჩიტაშვილი
* 16.11. 1936 წ. – ვალე
† 11. 05. 2011 წ. – ვალე

სონია მამუკაშვილი
* 22. 11.1928 წ.
† 13. 04. 2011 წ. – გორი

ქრისტინე ლაზარიშვილი
* 08.09. 1925 წ. – ივლიტა
† 19. 05. 2011 წ. – ივლიტა

ზეინაბ ფილიპოვა
* 29. 01. 1959 წ. – ბათუმი
† 16. 06. 2011 წ. – ბათუმი

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

კათოლიკე სტუდენტების მოძრაობის პრეზენტაცია

ამ რამდენიმე თვის წინ სოციალურ ქსელზე (facebook) გაჩნდა ჯგუფი სახელწოდებით — კათოლიკე სტუდენტების მოძრაობა, რომელშიც მრავალი სტუდენტი თუ არასტუდენტი გაერთიანდა. ამ მოძრაობის მიზანი თავდაპირველად უცნობი იყო, მეტნაკლებად ვიცოდით, რომ ეს ჯგუფი უნდა გასცილებოდა facebook -ის ფარგლებს და რეალური სახე მიეღო, მაგრამ როდის და როგორ — არავინ იცოდა ☺. და აი, ერთი თვის წინ facebook-ზე გაჩნდა ინფორმაცია წეროვანში ჯგუფის წევრების შეხვედრისა და პრეზენტაციის შესახებ.

18 ივნისს, წეროვანში, კათოლიკე სტუდენტების მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა ჩვენს საყვარელ ეპისკოპოსთან. დილა ლოცვით დავიწყეთ, რასაც მოჰყვა პრეზენტაცია.

ჯგუფის დაარსების იდეა ჯერ კიდევ ორი წლის წინ გაჩნდა, როდესაც ანალოგიური სახელწოდების (Movimento Studenti Cattolici) ჯგუფის წევრები, იტალიელი სტუდენტები პირველად სტუმრობდნენ საქართველოს (მათი მეორე ვიზიტის შესახებ ჩვენ დავწერეთ საბას ნოემბერის ნომერში). ეს იდეა განმტკიცდა ამ ახალგაზრდების შემდგომი ვიზიტის შემდეგ და გადაიდგა პირველი ნაბიჯიც – შეიქმნა ჯგუფი სოციალურ ქსელში.

წეროვანში ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი იყო სხვა სტუდენტებსა და ამ ჯგუფის წევრებს შორის კავშირის დამყარება, რათა ერთად დაეგეგმათ მომავალი საქმიანობა.

პრეზენტაციაზე საინიციატივო ჯგუფის ერთ–ერთმა წევრმა, შოთა კუკულაძემ აღნიშნა, რომ ამ მოძრაობის მიზანია, გააერთიანოს კათოლიკე სტუდენტები და დაეხმაროს მათ არსებული პრობლემების გადაჭრაში, რათა მათ იზრუნონ ერთმანეთზე და ხელი შეუწყონ ეკლესიასთან სტუდენტების უფრო მეტად დაახლოებას (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდა სასწავლებლად მიდის სხვა ქალაქში და უძნელდება ახალ გარემოსთან შეგუება, არ იცის ეკლესიაში სხვადასხვა ღონისძიებათა შესახებ, ან კარგად არ იცნობს ქალაქს და ა.შ). ახალგაზრდებმა მზადყოფნა გამოხატეს შეთავაზებული საკითხების მიმართ. საინტერესო გამოდგა ჯგუფური საუბრები, სადაც სასაუბრო თემები წინასწარ იყო მომზადებული ორგანიზატორების მიერ. კურსდამთავრებულები, ჩვენს გამოცდილებას ვუზიარებდით სტუდენტებს და ერთად განვიხილავდით არსებულ სირთულეებს, რომლებიც გვხვდებოდა, ან შეიძლება შეგვხვედროდა ჩვენი რწმენის გამო სტუდენტობის დროს (ან შეიძლება საერთოდ არც ყოფილიყო ეს პრობლემა). ჩემდა სასიხარულოდ, აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა ამ კუთხით მკვეთრად შეცვლილა გასულ წლებთან შედარებით.

ჯგუფურ საუბრებს წინ უსწრებდა ეპისკოპოსის მიმართვა ახალგაზრდებისადმი, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით დაიწყო: „მწამდა და ამიტომაც ვლაპარაკობდი“ — ჩვენც გვწამს და ამიტომ ვლაპარაკობთ... ეპისკოპოსმა მოკლედ ისაუბრა ჩვენს, როგორც სტუდენტების (კათოლიკე სტუდენტების), მოვალეობებზე ეკლესიასა და მის გარეთ (უნივერსიტეტში). ვიყოთ ქრისტიანები არ ნიშნავს, მხოლოდ სიტყვით ვაღიარებდეთ ჩვენს რწმენას, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრების წესით უნდა ვამოწმებდეთ იმას, რაც გვწამს. ამის მაგალითად ეპისკოპოსმა დაგვისახელა იტალიელი ახალგაზრდა წმიდანი პიერ ჯორჯო ფრასატი (Pier Giorgio Frassati- 1901-1925), რომელიც, თავისი ცხოვრების წესით, მაგალითი იყო სხვათათვის. სწორედ ფრასატის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევდა მთელ შეხვედრას: „ასეთ რთულ მომენტში ჩვენს ქვეყანაში ჩვენ, კათოლიკეებს და, განსაკუთრებით, სტუდენტებს, გვაქვს უდიდესი მოვალეობა: ჩვენი პირადი ფორმაცია“. ფორმაცია მართლაც ის საშუალებაა, რომელიც დაგვეხმარება, ვიყოთ მტკიცენი რწმენაში და სამაგალითონი სხვათათვის.

შეხვედრის განმავლობაში პირდაპირი ჩართვა იყო იტალიიდან, სადაც იტალიური ჯგუფის ერთ–ერთი წევრი ელენა ჩაგვერთო და უპასუხა ჩვენს შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად მათ გამოცდილებას ეხებოდა.

დღის ბოლოს, ავირჩიეთ ამ მოძრაობის მდივნები (პასუხისმგებელი პირები): შოთა კუკულაძე, სოფო გოზალიშვილი და ნინა სერაპოვა, რომლებიც დაგეგმავენ შემდგომ შეხვედრებს (ამჯერად მხოლოდ სტუდენტებთან) და ჩამოაყალიბებენ მოძრაობის სტრატეგიულ გეგმას.

სამწუხაროდ, ყველა სტუდენტი არ ესწრებოდა ამ შეხვედრას, რადგანაც მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ facebook-ით გავრცელდა. იმედს ვიტოვებთ, რომ ჯგუფის ორგანიზატორები აუცილებლად გაითვალისწინებენ ამას და შემდგომში უფრო ეფექტურ საშუალებებს მიმართავენ ინფორმაციის ყველა სტუდენტამდე მისატანად.

სამუშაო დღე მხიარული თამაშებით დასრულდა. სასიამოვნო შთაბეჭდილებითა და სიახლეების მოლოდინით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ჩვენს, როგორც კათოლიკე სტუდენტების, როლზე საზოგადოებაში.

შორენა პარუნაშვილი